თხზულება აქვს სათანადო აგებულება – შესავალი, კვლევითი ნაწილი და დასკვნა	
შესრულებული დავალება შინაარსობრივად კორექტულია/ დავალებაში მოტანილი ინფორმაცია სანდოა	
თხზულება ენობრივად გამართულია	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია	

3. პროექტი

პროექტის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
მოიცავს დეტალურ, დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას	
ეყრდნობა საჯარო უწყებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას	
შესრულებული დავალება შინაარსობრივად კორექტულია/ დავალებაში მოტანილი ინფორმაცია სანდოა	
თხზულება ენობრივად გამართულია	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია	

4. იმიტირებული სასამართლო პროცესი

იმიტირებული სასამართლო პროცესის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა

შეესაბამება შესაჯამებელ თემას	
პროცესი ეყრდნობა სასამართლოდან გამოთხოვილი კაზუსის საფუძველზე შემუშავებულ სცენარს	
აქტივობის მსვლელობა წარმოადგენს სტანდარტული სასამართლო პროცესის იმიტაციას	
პროცესის მონაწილეებს შორის წინასწარ არის განაწილებული როლები (მოსამართლე, ბრალდებული, ადვოკატი, პროკურორი, მოწმე და ა.შ.)	
მონაწილეთა არგუმენტები და მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებენ	
არგუმენტებად იყენებენ რეალურ ფაქტებსა და წყაროებს	
მონაწილეები თავის როლს პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად უდგებიან	

4. ბუკლეტის/ფლაერი

ბუკლეტის/ფლაერის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი	
დავალება შინაარსობრივად კორექტულია/დავალებაში მოყვანილი ინფორმაცია სანდოა	
ტექსტები ენობრივად გამართულია	
შეესაბამება შესაჯამებელ თემას	
გაფორმებულია თემატიკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სურათები, ფოტოები, სქემები...)	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი	

კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს	
არ აღვევს საავტორო უფლებებს/თან ახლავს სამეცნიერო აპარატი	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია	

5. დებატები

დებატების შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
არგუმენტი არის ფაქტით განმტკიცებული/ დასაბუთებული	
მოწინააღმდეგეს უპირისპირებს კონტრარგუმენტს	
არგუმენტის წარდგენისას დამაჯერებელია	
იყენებს ეფექტურ და ადეკვატურ ჟესტიკულაციას	
ემორჩილება მოდერატორის მითითებებს	
იცავს დროის ლიმიტს	

* * *

აქტივობების „ბანკი”

❖ <u>ლოტო</u>

ლოტოს თამაში, სადაც ლოტოს კოჭების ფუნქციას საზოგადოებრივი მეცნიერებების (როგორც ისტორიის, ისე სამოქალაქოს) სწავლისათვის **აუცილებელი ცნებები,** ფაქტები, პიროვნებები ან თარიღები შეასრულებს, ფრიად კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ სტუდენტებმა ახლად ნასწავლი მასალა კარგად გაითავისონ.

ლოტო სტუდენტებს მრავალგვარად და მრავალ სხვადასხვა თემაზე შეგიძლიათ ათამაშოთ. მაგალითად, რომელიმე ისტორიული ან თანამედროვე მოვლენის შესწავლის პროცესში შეგიძლიათ დაავალოთ მათ ახლად ნასწავლი ცნებებისა და ტერმინების ამოწერა, თემის დასრულების შემდეგ კი სპეციალურად გამზადებული დაფები დაურიგოთ; ამის შემდეგ თანმიმდევრულად უნდა ამოიღოთ „ლოტოს კოჭები"; თითოეული კოჭის ამოღებას, ცხადია, თან უნდა ერთვოდეს რომელიმე მოსწავლის მიერ წაკითხული ცნების განმარტება.

აუცილებელი არ არის, ლოტოს თამაში მხოლოდ ახალ ცნებებსა და ტერმინებზე იყოს ორიენტირებული. თამაში შეგიძლიათ ისტორიულ პიროვნებებსა თუ მოვლენებზეც ააწყოთ.

ამგვარი აქტივობის პრაქტიკაში დანერგვა ძალიან გააადვილებს სტუდენტთა მიერ ახალი მასალის გაგებასა და გათავისებას.

❖ <u>**შეკითხვების პოვნა პასუხებისთვის**</u>

ჩამოწერეთ დაფაზე ან ფლიპჩარტზე კითხვები (*ისე, რომ არ გამოაჩინოთ),* მანამდე კი სტუდენტებს დაურიგეთ ფურცელზე დაწერილი იმავე კითხვების პასუხები. დაავალეთ სტუდენტებს, პასუხები შესაბამის კითხვებს შეუსატყვისონ. შესაბამისობები განიხილეთ საჯაროდ.

ამ აქტივობის პერიოდული განხორციელების შემთხვევაში, ტრადიციულად, თითქმის ყოველი გაკვეთილის თანმდევი კითხვა-პასუხის რეჟიმი უფრო სასიამოვნო და მრავალფეროვანი გახდება.

ვფიქრობთ, რომ შემოთავაზებული აქტივობა ინტეგრირებული ბუნების ,,მოქალაქეობის'' მოდულის კონტექსტში საშუალებას იძლევა კარგად დამუშავდეს უნარებს ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს, მმართველობის კუთხით. აღნიშნული აქტივობა კიდევ უფრო საინტერესო რომ იყოს, სასურველი იქნება, თუ პასუხების რაოდენობა კითხვებზე მეტი იქნება. გარდა იმისა, რომ ბავშვები მიხვდებიან, რომელ პასუხს რომელი კითხვა შეესაბამება, მერე იმაზეც მოუწევთ ფიქრი, რომელი პასუხია რელევანტური და რომელი – ზედმეტი.

მაგალითად:

ა)

პასუხი: ამ ახალგაზრდების დაპირისპირება წინა თაობის წარმომადგენლებთან განპირობებული იყო იმით, რომ უფროსებს უმოქმედებაში და ცარიზმის პოლიტიკის შემგუებლობაში სდებდნენ ბრალს.

შეკითხვა: რატომ ჰქონდა ადგილი მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებაში ,,მამათა და შვილთა ბრძოლის'' სახელით ცნობილ დაპირისპირებას?

ბ)

პასუხი: ,,უფლებათა ბილში'' ჩამოყალიბებული იყო ადამიანის ყველა ძირითადი უფლება, მისწრაფებები და სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი გარანტიები მათი დაცვის კუთხით. ეს დოკუმენტი მისაბაძი იყო ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლთათვის სხვადასხვა ქვეყნებში.

შეკითხვა: რატომ მოახდინა გავლენა ,,უფლებათა ბილმა''(1689) ინგლისის და ზოგადად დასავლური საზოგადოების განვითარებაზე?

❖ <u>კი და არა</u>

ამ აქტივობის მთავარი ღირსება მისი მოქნილობა და ლაკონურობაა. მისი განხორციელება ნებისმიერ თემაზე საუბრისას შეგიძლიათ. ერთ შემთხვევაში ორი სტუდენტის დახმარება დაგჭირდებათ. მათგან ერთ-ერთს რომელიმე ისტორიული პიროვნების სახელის ჩაფიქრება დაავალეთ, მეორეს კი მიზნად დაუსახეთ, მეგობრის ჩანაფიქრი ისეთ კითხვებზე პასუხების საშუალებით გაიგოს, რომლებზეც მხოლოდ „კი" ან „არა" პასუხის გაცემა შეიძლება. მაგალითად, ვთქვათ, პირველმა სტუდენტმა ჩაიფიქრა პერიკლე (ათენური დემოკრატიის ,,მამა''), მეორე სტუდენტი უსვამს შემდეგი ტიპის შეკითხვებს: ა) <u>ჩაფიქრებული პიროვნება კაცია?</u> ბ) <u>ძველი მსოფლიოს პერიოდის მოღვაწეა?</u> გ) <u>ქართველია?</u> დ) <u>პოლიტიკური მოღვაწეა?</u> ე) <u>წარმატებულია თავის მოღვაწეობაში?</u> და ა.შ.

❖ <u>მოქალაქის/პიროვნების ,,იარაღები''</u>

,,მოქალაქეობის'' სწავლის პროცესში აუცილებელია, სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე არგუმენტირების უნარი განუვითარდეთ. საამისოდ კარგი საშუალებაა საქართველოს კონსტიტუციის (იხ. საიტზე http://laws.codexserver.com/37.htm) სასწავლო რესურსად გამოყენება.

ეს აქტივობა არ მოითხოვს განსაკუთრებით რთული თეორიული კონსტრუქტებით აპელირებას. გაკვეთილის მიმდინარეობისას გამოყავით დებულებები, რომელთა ჭეშმარიტებაც ეჭვს არ იწვევს, მაგალითად, შემდეგი: *საქართველოში ხალხს აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.* შემდეგ სტუდენტებს მიეცით

დავალება, საქართველოს კონსტიტუციაში იპოვონ პარაგრაფები, რომლებიც ამ დებულების საფუძველს წარმოადგენს. ამ ტიპის მრავალი დავალების მოფიქრება შეიძლება, მაგალითად:

ა) საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დაასაბუთეთ, რომ ხალხს აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. აღწერეთ, რა საშუალებებს ანიჭებს საამისოდ მათ კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დაასაბუთეთ, რომ საქართველო დემოკრატიული, ლიბერალური ღირებულებების დამცველი სახელმწიფოა;

გ) საქართველოს კონსტიტუციით, პოლიტიკა და ბიზნესი ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული;

დ) საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

აუცილებელი არ არის ეს აქტივობა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებაში განახორციელოთ. ანალოგიურად შეგიძლიათ გამოიყენოთ, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომის კონვენცია და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

აქტივობის სავარაუდო შედეგები:

აქტივობის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში სტუდენტებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნებათ საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების შინაარსის შესახებ. მსგავსი აქტივობების განხორციელებით სტუდენტები აქტიურ ცოდნას შეიძენენ, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს მათი მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებაზე.

- **ფაქტი თუ ინტერპრეტაცია**

ფაქტი და ინტერპრეტაცია საზოგადოებრივი პრობლემების მსჯელობისას ორი უმთავრესი ცნებაა *ისტორიის არსებითი სამიზნე ცნების ნაწილებსაც წარმოადგენს.* თუმცა არამცთუ მოზარდების, არამედ ზრდასრულთათვისაც კი მათი

ერთმანეთისგან განსხვავება ხშირად სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული აქტივობა სწორედ ამ პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებათ.

ამ აქტივობის განსახორციელებლად სტუდენტებს ცალკეული დებულებები უნდა ჩამოვუყალიბოთ, რომელიც შესაძლოა სტუდენტმა ფაქტადაც აღიქვას და ინტერპრეტაციადაც; შემდეგ თითოეულ შემთხვევაში სტუდენტს ვეკითხებით, შემოთავაზებული დებულების სახით საქმე ფაქტთან გვაქვს თუ ინტერპრეტაციასთან? ეს როგორც ისტორიის დისციპლინისთვის, ასევე სამოქალაქო განათლებისთვის ფრიად სასურველი უნარია და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს, ასევე ავითარებს პირველად და მეორეულ წყაროებზე მუშაობის უნარს.

მაგალითად:

1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა ,,ადამიანის უფლებათა დეკლარაცია'' *(ფაქტია);*

,,პეტიციის უფლებათა შესახებ''(1628 წ.) ,,ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის'' (1789 წ.) გავრცელებას პროგრესული მნიშვნელობა დასავლური დემოკრატიული განვითარებისთვის (მოსაზრებაა).

❖ <u>ერთი ზედმეტია</u>

ეს აქტივობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იოლად უწყობს ხელს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართვას. მისი შედგენა ასევე არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. ამ აქტივობის განხორციელება შეგიძლიათ ნებისმიერ გაკვეთილზე, ან კიდევ შეგიძლიათ ერთი დიდი თემის ამოწურვის შემდეგ მოიშველიოთ სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნის შესამოწმებლად და გასამყარებლად.

სტუდენტებს შესთავაზეთ 4 ტერმინი, რომელთაგან სამი ერთმანეთსა და ერთ კონკრეტულ მოვლენას, ან ეპოქას, ან რაიმე სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისთვის (ისტორიის ან სამოქალაქოსთვის) ორგანულ კატეგორიას უკავშირდება, ხოლო მეოთხე – არა. სტუდენტებმა უნდა მოახდინონ იმ სამი ტერმინის კლასიფიცირება და მეოთხის იდენტიფიკაცია, ასევე მისი დაკავშირება შესაბამის კატეგორიასთან. ანუ საჭიროა, რომ მასწავლებელმა სამი ისეთი ტერმინი ან ცნება შეარჩიოს, რომლებიც კარგად ასახავს ძირითად საკითხს, ერთი კი – ისეთი, რომელსაც განსხვავებული შინაარსი აქვს. ამის შემდეგ სტუდენტებს დაავალეთ იმის გარკვევა, ჩამოთვლილ ტერმინთა შორის რომელია ამოსაგდები (მსგავსი მაგალითების მოფიქრება შეიძლება დაუსრულებლად, ყველა ეპოქასთან, თემასთან, ყველა ტიპის სოციალურ პროცესთან ან მოვლენასთან დაკავშირებით და ძალიან კარგად ავარჯიშებს სტუდენტთა გონებას ისტორიული/სამოქალაქო განათლების დისციპლინებში ოპერირებისთვის აუცილებელ ტერმინების აღქმა/გათავისების თვალსაზრისით. მათი ცოდნა ხშირ შემთხვევაში რელევანტურია დღევანდელობასთან და აუცილებლად საჭიროა თანამედროვე განათლებული ადამიანისთვის).

კარგი იქნება, თუ თავად სტუდენტებს დაავალებთ ასეთი სავარჯიშოების შედგენას.

სწავლებისას ანტიკური ან ნებისმიერი სხვა ეპოქის ქეისად გამოყენებისას, როდესაც ამუშავებთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა, სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა; კანონი; ადამიანი და საზოგადოება; მოქალაქე და სახელმწიფო - შეგიძლიათ შესთავაზოთ დაჯგუფებულად, მაგალითად, ტერმინები:

დემოკრატია

ოლიგარქია

მონარქია

ეთნოგრაფია → *ზედმეტია*

სტუდენტებმა წესით, სწორად უნდა დააჯგუფონ პირველი სამი ტერმინი, როგორც მმართველობის ფორმები, რომელიც სამივე სახით ძველ საბერძნეთში შეხვდათ (მათ უნდა მოახდინონ განზოგადება და შეძლონ ისტორიული ფაქტებით არგუმენტირებული მსჯელობა, თუ რატომ არაა ეს ტერმინები მხოლოდ საბერძნეთთან მიმართებაში აღსაქმელი); მათ ასევე უნდა გაიხსენონ, რომ ეთნოგრაფია არ არის მმართველობის ფორმა, რომ ის არის ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც ხალხის (ეთნოსის) ყოფა-ცხოვრებას, რწმენა-წარმოდგენებს, ტრადიციებს შეისწავლის.

ან თუ რომის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე მსჯელობთ:



- **გასაუბრება წინა თაობის წარმომადგენლებთან**

სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით კარგი იქნება, თუ მასში სტუდენტების წინა თაობის წარმომადგენლებსაც ჩართავთ. მაგალითად, როდესაც თანამედროვე ეპოქის მოვლენებზე საუბრობთ *(ისტორიული ეპოქა მე-20 საუკუნის დამდეგიდან დღემდე)*, შეგიძლიათ ენთუზიასტი ბებიის ან ბაბუის მოწვევა, რომლებიც სტუდენტებისთვის საინტერესო ეპოქიდან (მაგ. საბჭოთა პერიოდის) იმ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მომსწრენი და თვითმხილველნი არიან, რასაც უკვე გარდასულ პერიოდად მიიჩნევენ ასაკიდან გამომდინარე.

ასევე შესაძლოა ცალკეულ თემებზე სტუდენტს ოჯახის წევრებისგან ინტერვიუს აღება და ამ ინტერვიუს საფუძველზე პრეზენტაციის მოწყობა დაავალოთ.

'ინტერვიუს' მსვლელობისას საჭიროა სტუდენტებმა შემდეგი პრინციპები დაიცვან: ა) კლასის წინაშე უნდა აღნიშნონ, კონკრეტულად რის შესახებ სჭირდებათ ინფორმაციის მოპოვება რესპონდენტისგან: საბჭოთა მოქალაქეების დამოკიდებულება სტალინის კულტის მიმართ; ბ) სტუდენტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ არ შეიძლება რესპონდენტს დაუსვან იმგვარი კითხვა, რომელიც, გარკვეულწილად, სავარაუდო პასუხსაც მოიცავს. მაგალითად, ამ შემთხვევაში არ უნდა ჰკითხონ – როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ეს დამოკიდებულება განპირობებული შიშით და ჩაკეტილი სივრცეში ცხოვრებით? გ) სტუდენტებმა უნდა დასვან იმგვარი შეკითხვები, რომლებიც რესპონდენტს სხვადასხვა საკითხზე ნარატიული თხრობის საშუალებას მისცემს, მაგალითად, როგორ იზეიმებოდა საბჭოთა დღესასწაულები? რატომ დაჰყავდათ მოზარდები 9 მაისის დღესასწაულზე? თანაუგრძნობდნენ თუ არა თავად ან მათი ოჯახის წევრები იმათ, ვინც 1956 წელს სტალინის კულტის აკრძალვა და შებღალვა გააპროტესტა? და ა.შ.

აღებული ინტერვიუს გაანალიზებისას სტუდენტებმა, მასწავლებლის დახმარებით, უნდა გაითვალისწინონ იმ სუბიექტური დამოკიდებულების მიზეზები, რაც საკითხთან მიმართებაში გააჩნდა რესპონდენტს. ამ საკითხზე ადვილად შეიძლება საკლასო დისკუსიის ორგანიზებაც.

- **ერთი და იმავე მოვლენის შესახებ პრინციპულად განსხვავებული წყაროების განხილვა**

საზოგადოებრივი პრობლემების (თანამედროვე თუ ისტორიული) წვდომისთვის სათანადო უნარების გამომუშავებისთვის სასურველია სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფისათვის ერთი და იმავე მოვლენის შესახებ დიამეტრულად განსხვავებული თვალსაზრისის მქონე სხვადასხვა წყაროს დარიგება და აღნიშნულ საკითხზე დისკუსიის მოწყობა. კონკრეტული ნიმუშის სახით გთავაზობთ ორ განსხვავებულ წყაროს, რომლებიც გამოგადგებათ, როდესაც განვიხილავთ თემას: „საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მე-19 საუკუნეში“, კერძოდ, როდესაც შეისწავლით ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებრივ აზრს. ორივე განსხვავებული მოსაზრება არჩილ ჯორჯაძის წერილებიდან არის ამოკრებილი (თბ., 1989).

ეს აქტივობა სტუდენტებმა შეიძლება „დებატების“ ფორმით განახორციელონ – განსხვავებული წყაროს პოზიციის დამცველი ჯგუფებიდან შერჩეული სპიკერების სახით, რომლებიც „დამსწრე საზოგადოების“ (კლასის დანარჩენი წევრების) წინაშე არგუმენტირებულად დაიცავენ განსხვავებულ მოსაზრებებს. კითხვები თავად შეგიძლიათ შეიმუშაოთ ან იმათ მიანდოთ, ვინც მოწინააღმდეგე ჯგუფებში არაა ჩაბმული. სტუდენტების ნაწილს განსხვავებული პოზიციის არგუმენტების ჩაწერა დაავალეთ და სთხოვეთ იმსჯელონ, რომელი არგუმენტი მოეჩვენათ უფრო წონადი და რატომ. შეეცადეთ იმგვარად დაარეგულიროთ სიტუაცია, რომ კამათისას სტუდენტები ოპერირებდნენ მხოლოდ არგუმენტებით, ზედმეტად არ გაცხარდნენ და პიროვნულ შეურაცხყოფაზე არ გადავიდნენ.

<u>წყარო 1.</u> „აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისთვის. ცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ყოველი ფიქრობს საკუთარი თავის სარგებლობისთვის, რომლის მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა; ანგარება არის

მათთვის კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. მაგრამ ნუ გგონია, რომ ეს იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა, არა! ეს არის მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა[იგულისხმება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პერიოდი]“.

(გენერალ-მაიორი ივანე აფხაზი, რუსეთის მიერ წარმოებული ყველა მნიშვნელოვანი ომის მონაწილე, მე-19 საუკუნის 20-იანი წლები).

<u>წყარო 2.</u> „თუ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთეს ხანის დადგომამდე, თუ ჩვენ არ ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობის წყალობით... ახლა ჩვენ უშფოთველად ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში. . . ჩვენი საზოგადო ცხოვრება არავითარ საფრთხეს არ განიცდის._. . მე რუსი ვარ ჩემი სამსახურით, ლუკმა-პურით და ჩემი აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით. საჭიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საჭიროა ამ ორი სიტყვიდან - რუსი და ქართველი - ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედუღება ერთ მცნებაში“.

(დიმიტრი ყიფიანი, მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე).

- **მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ახსნა გრაფიკის მიხედვით**

მოდულის - ,,მოქალაქეობა'' ეფექტურად სწავლებისთვის ზოგადად ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას სტუდენტისთვის საზოგადოებრივ პრობლემებზე (ისტორიულ თუ თანამედროვე) მსჯელობის უნარის გამომუშავება წარმოადგენს. სტუდენტებმა ამ ეტაპზევე უნდა გააცნობიერონ, რომ როგორც ისტორიაში(წარსულში), ასევე მიმდინარე ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს, და რომ ერთმანეთს ისეთი მოვლენებიც შეიძლება უკავშირდებოდეს, რომელთა შორის კავშირები ერთი შეხედვით არ ჩანს.

დაფაზე ან ფლიპჩარტზე დაწერეთ რომელიმე ისტორიული მოვლენის დასახელება, რომელსაც ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა. გაუკეთეთ მას ზემოთ და ქვემოთ მიმავალი ნიშნულები, შემდეგ კი სტუდენტებთან ერთად დაასათაურეთ ისინი. ზემოთ ამ მოვლენის მიზეზები ჩაწერეთ, ქვემოთ კი – შედეგები. შეეცადეთ სხვადასხვა მოვლენის სახელები დაფაზე იმგვარად ეწეროს, რომ შედეგების დაწერის მომენტში ისინი ერთ სიბრტყეზე აღმოჩნდნენ განთავსებულნი.

კარგი იქნება, თუ ამ აქტივობას ხშირად მიმართავთ. იგი სტუდენტებს კარგ წარმოდგენას შეუქმნის ისტორიული პროცესების არსის შესახებ.

მაგალითის სახით წარმოგიდგენთ - მეორე მსოფლიო ომის დასასრული


გაეროს შექმნა
ბერლინის კედელი
მეორე მსოფლიო
ევროპის ეკონომიკური კავშირი
ნატო
ვარშავის პაქტის ქვეყნები
,,რკინის ფარდა''
ნიუნბერგის პროცესი

ალტერნატიული ისტორია

ისტორიულ თუ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე მსჯელობის უნარის განვითარების მიზნით, მოსწავლისთვის ასევე კარგი იქნება, თუ შემდეგ აქტივობას მიმართავთ: სთხოვეთ სტუდენტებს, გამოთქვან ვარაუდი: მათი აზრით, რა მოხდებოდა, ესა თუ ის მოვლენა ისტორიაში სხვაგვარად რომ წარმართულიყო? მართალია, ისტორიის მსგავს ალტერნატიულ მოდელებს, როგორც წესი, ისტორიკოსები არ მიმართავენ, მაგრამ სტუდენტთა ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად ეს ცუდი არ იქნება; მით უფრო, რომ ეს საშუალებას მოგცემთ კიდევ უფრო გაამახვილოთ მათი ყურადღება როგორც ისტორიის საკვანძო მოვლენებზე, ა ს ე ვ ე ,,გადმოატანინოთ'' ყურადღება თანამედროვე კონტექსტებზეც და მეტად დააფიქროთ მომავალზე.

ასეთი ვარიანტების წარმოდგენა მრავლად შეიძლება. **მაგალითად,** სტუდენტებს შეგიძლიათ დაავალოთ იმსჯელონ, რა მოხდებოდა, თუ, ვთქვათ:

ა) მეფე დაამარცხებდა ინგლისელ ბარონებს, რომლებმაც ,,თავისუფლებათა დიდი ქარტია'' შეიმუშავეს?
ბ) დიდი ფრანგული რევოლუციის თავკაცებს არ შეემუშავებინათ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია?
გ) ტოტალიტარულ სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირს მთელი ევროპა გავლენის სფეროდ ექცია?
დ) 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა არ გამოეცხადებინა ეროვნულ კრებას?
ე) საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ნაცვლად ორიენტაცია რუსეთთან ინტეგრაციისკენ რომ აეღო? ა.შ.

რა თქმა უნდა, ასეთ კითხვებზე სტუდენტთა პასუხების პროგნოზირება ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, ამ აქტივობის განხორციელების პროცესში თქვენი მოქმედება მაინც წინასწარ მოფიქრებული და კარგად გააზრებული უნდა იყოს.

სტუდენტთა პასუხებს შორის მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ შემდეგი ტიპის მოსაზრებებს:

ა) რომლებიც ისტორიული პირების/მოვლენების მნიშვნელობას წამოწევენ წინ;

ბ) რომლებიც იმ პათოსითაა გამსჭვალული, რომ ცალკეულ ფაქტებს არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ისტორიის მსვლელობისათვის.

შემდეგ კი, ამ პასუხების გამოყენებით, უნდა იმსჯელოთ შემთხვევითობებისა და კანონზომიერებების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ეს აქტივობა, რომელიც ერთი შეხედვით ისტორიზმის პრინციპებსაც კი არღვევს, მისი შემეცნების კარგ საშუალებად გადაიქცევა (აღარაფერს ვამბობთ თანამედროვეობაში მიმდინარე პროცესების აღქმაზე).

❖ კარიკატურა

კარიკატურის გამოყენება სასწავლო პროცესში საკმაოდ ეფექტურად შეიძლება – იქიდან გამომდინარე, რომ იგი საკმაოდ მრავლისმეტყველ ინფორმაციას შეიცავს. შესაბამისად, თუკი გაკვეთილებზე სტუდენტებს კონკრეტულ მომენტში, თქვენთვის საჭირო თემაზე შექმნილ კარიკატურას წარუდგენთ და გაკვეთილს მისი გამოყენებით აუხსნით, ამას კარგი ეფექტი ექნება, რადგან ისინი თავად შეძლებენ სურათზე გამოსახულ ცალკეულ ნიუანსებზე მსჯელობას. ასეთი დისკუსიები სტუდენტებს გაამხიარულებს და დიდხანს დარჩება მათ ცნობიერებაში.

❖ სიტყვით გამოსვლა

დაავალეთ რომელიმე, სათანადო უნარის მქონე სტუდენტს სიტყვით გამოვიდეს კლასის წინაშე. მან შესაძლოა ქვეყნის მეთაურის, პარტიის ლიდერის, არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარის ან უბრალოდ აქტიური მოქალაქე ორატორის როლი მოირგოს. წინასწარ გაესაუბრეთ მას და უთხარით, რა აქცენტები უნდა გააკეთოს საჯარო გამოსვლისას.

ასეთი აქტივობები სტუდენტებს კარგად ამახსოვრდებათ.

მაგალითად, შესთავაზეთ ანტიკური ეპოქის ცნობილი მოღვაწისა და ორატორის, ათენის დემოკრატიის ლიდერის, პერიკლეს სიტყვა ათენის მოქალაქეების წინაშე; უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსისა და ორატორის, უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში ანუ მისი სიტყვა ცივი ომის დაწყების თაობაზე; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციას.

წარმოდგენილი სიტყვების მომზადებისას სტუდენტებს უნდა მიუთითოთ, მის რომელ ნაწილზე გააკეთონ განსაკუთრებული აქცენტი, წინასწარ ჰქონდეთ განსაზღვრული, რა წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში ორატორის მიზანს – მაგალითად, პერიკლეს შემთხვევაში ეს არის ათენელებისათვის მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაღვივება; ჩერჩილის შემთხვევაში – მსოფლიოსათვის საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხის ჩვენება; კათალიკოს ამბროსის შემთხვევაში კი - ოკუპირებული საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ეთნიკური, ეკონომიკური პოლიტიკური და რელიგიური უფლებების გაუქმებას საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს მხრითვის დასავლეთისგან წინააღმდეგობის არგაწევის შემთხვევაში.

❖ <u>„ინტერვიუერი"</u>

საქართველოს სახელმწიფო მოწყობაზე მსჯელობისას სტუდენტებს დაავალეთ ნაცნობთა წრეში ჩაატარონ გამოკითხვა იმის შესახებ, როგორ არის ორგანიზებული ქართული სახელმწიფო სისტემა.

სასურველია, თუ სტუდენტებს რესპონდენტები შემდეგ კითხვებზე გასცემენ პასუხებს:

ა) ვინ ახორციელებს საქართველოში საკანონმდებლო ხელისუფლებას? ბ) ვინ ახორციელებს საქართველოში აღმასრულებელ ხელისუფლებას? გ) როგორი სახელმწიფოა საქართველო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით?

დ) როგორი სახელმწიფოა საქართველო მმართველობის ფორმის მიხედვით?

ე) როგორი სახელმწიფოა საქართველო მმართველობის რეჟიმის მიხედვით?

ვ) რამდენ წელიწადში ერთხელ ტარდება საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები?

სავარაუდოდ, სტუდენტთა რესპონდენტებს ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხები არ ექნებათ; რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, მათ შეკითხვის არსიც ვერ გაიგონ, თუმცა ეს აქტივობის განხორციელებას ხელს არ შეუშლის. საქმე ისაა, რომ აქტივობის მიზანი ამ კითხვებთან დაკავშირებით თავად სტუდენტთა ინფორმირებაა, რაც, უდავოდ, მიღწეული იქნება რესპონდენტებთან მუშაობის პროცესში, რადგან, პირველ რიგში, სტუდენტებს თავად მოუწევთ ამ შეკითხვების არსისა და მათზე სწორი პასუხების გაგება.

აქტივობის სავარაუდო შედეგები:

აქტივობა სტუდენტს აქტიურ ცოდნას შესძენს მოქალაქეობის, მმართველობის, უფლებათა დელეგირების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ამასთან, განვითარდება მისი, როგორც მკვლევრის, უნარებიც. ეს აქტივობა, ბუნებრივია, სხვა თემებთან მიმართებაშიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

❖ **<u>სამართლებრივი კულტურა</u> (რელევანტურია როგორც წინა, ისე ამ თავის მასალასთან)**

დაწერეთ დაფაზე სიტყვები: „სამართლებრივი კულტურა“. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებს დაავალეთ განმარტონ, როგორ ესმით ეს ტერმინი. მათი პასუხები დაფაზე ჩამოწერეთ. ეს პასუხები, სავარაუდოდ, ერთმანეთისგან განსხვავებული და არადამაჯერებელი იქნება; თუმცა, მაინც შეეცადეთ განაზოგადოთ

ისინი და აღნიშნეთ, რომ „სამართლებრივი კულტურის“ განმარტება სამეცნიერო წრეებშიც ფართო დისკუსიის საგანია.

საილუსტრაციოდ, დაფაზე ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რამდენიმე მოსაზრება ჩამოწერეთ:

- *ზოგჯერ ტერმინით ,,სამართლებრივი კულტურა“ ის სოციალური გარემო აღინიშნება, რომელშიც კანონები მოქმედებს;*
- *ზოგჯერ იგულისხმება ღირებულებათა სისტემა, რომელიც საზოგადოების მიერ თავისი კანონების პატივისცემაზეა დამყარებული;*
- *ზოგჯერ ტერმინი ,, სამართლებრივი კულტურა“ ,, ბარბაროსობისა“ და ტოტალიტარიზმის საპირისპირო ცნებად მოიაზრება;*
- *ზოგჯერ იგი აღნიშნავს აზროვნების ფორმას.*

განსხვავებული მიდგომების აღნუსხვის შემდეგ, სთხოვეთ სტუდენტებს თქვან, ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მათთვის უფრო მისაღები. პარალელურ რეჟიმში სტუდენტებს აუხსენით, რომ სამართლებრივ კულტურაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონები, არამედ – მათი როლიც სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ზემოთ განხილული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ, კლასში წარადგინეთ სადისკუსიო თემა. თემის სათაური სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ფორმულირებული:

ა) ნიშნავს თუ არა სამართლებრივი კულტურა მხოლოდ კანონის მორჩილებას?

ბ) მოდის თუ არა წინააღმდეგობაში ერთმანეთთან სამართლებრივი კულტურა და ტრადიცია?

გ) შესაძლოა თუ არა არსებობდეს სამართლებრივი კულტურა ტოტალიტარულ სახელმწიფოში? და ა.შ.

დისკუსიის დასკვნით ნაწილში სტუდენტებს შეახსენეთ, რომ ყველა ადამიანს გააჩნია უფლებები/თავისუფლებები და მოვალეობები/პასუხისმგებლობები. სამართლებრივი კულტურა ქვეყანაში მხოლოდ

ორივე მათგანის (ე.ი მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების) რეალიზების შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. სამართლებრივი კულტურის ტრადიციის მქონე საზოგადოების წევრად, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება პიროვნება, რომელიც კანონებსა და ადამიანის სხვა უფლებებს უგულებელყოფს; თუმცა იგივე იმ მოქალაქეზეც ითქმის, რომელიც მხოლოდ კანონისადმი მორჩილებით შემოიფარგლება და მათი (ე.ი. კანონების) საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავს.

აქტივობის დასკვნით ნაწილში, დაავალეთ სტუდენტებს დაწერონ თემა ან დაგეგმონ პროექტი, რომელშიც საქართველოში სამართლებრივი კულტურის კუთხით არსებული პრობლემები იქნება განხილული.

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

აქტივობის განხორციელება საშუალებას მოგცემთ, დაეხმაროთ სტუდენტებს სამოქალაქო საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მეტად აქტუალურ საკითხთან დაკავშირებული საჭირო კითხვების დასმაში. ზემოთ ჩამოყალიბებული აქტივობის საფუძველზე სტუდენტთა პროექტების განხორციელება მათ წინაშე მკაფიოდ წარმოაჩენს სამოქალაქო საზოგადოების არსს.

❖ **<u>„ინფორმატორი"</u> (რელევანტურია როგორც წინა, ისე ამ თავის მასალასთან)**

დაავალეთ სტუდენტებს თავი წარმოიდგინონ იმ პოლიტიკოსის/დიპლომატის როლში, რომლის მიზანსაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საკუთარი ქვეყნის პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს. ასეთ პრობლემად შესაძლოა წარმოადგინოთ ჩვენთვის ფრიად აქტუალური მეზობელი სახელმწოფოს მხრიდან სამხედრო აგრესიის საფრთხე; ან კრიმინოგენული ფონი, ან ეკონომიკური პრობლემები და სხვ. პოლიტიკოსის როლში გარდასახული მოსწავლის ამოცანა იქნება სიტყვის ან წერილის მომზადება, რომლითაც იგი დახმარებისთვის რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართავს.

აღნიშნულ წერილში სტუდენტმა უნდა გამოავლინოს საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციებისა და სტრუქტურების ცოდნა. მაგალითად, თუ იგი მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან სამხედრო აგრესიის შეჩერების აუცილებლობის შესახებ საუბრობს, საჭიროა ნატოს მიმართოს. წერილში უნდა ჩანდეს, რატომ მიმართა სტუდენტმა

სწორედ ამ ორგანიზაციას; რა მიზნებს ისახავს იგი; რა სახის ქმედებები წარმოუდგენია ნატოს მხრიდან; რა რეზონანსი ექნება საერთაშორისო კონფლიქტში ნატოს ჩარევას და ა.შ.

ეს სიტყვა/წერილი სტუდენტმა კლასის წინაშე უნდა წაიკითხოს, კლასმა კი უნდა იმსჯელოს მისი დამაჯერებლობის შესახებ.

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

აქტივობა ხელს შეუწყობს როლური თამაშის საშუალებით საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას. თამაშის პროცესში ისინი, რა თქმა უნდა, უკეთ დაიმახსოვრებენ მასალას, რომელიც სახელმძღვანელოებში ხშირად სქემატური სახითაა წარმოდგენილი.

❖ <u>**პოლიტიკური პარტიების როლი**</u>

ჩამოწერეთ დაფაზე პლატფორმები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს შეიძლება ახასიათებდეს:

ლიბერალური, კონსერვატიული, რადიკალური, მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული, ზომიერი, რეაქციული ანარქისტული.

შემდეგ დაავალეთ სტუდენტებს წერილობით, 5-10 წუთში, თითოეული მათგანის მახასიათებლები ჩამოაყალიბონ. მათი პასუხები საჯაროდ განიხილეთ და შეეცადეთ დაფაზე შედარებით ერთმნიშვნელოვანი ვერსიები დააფიქსიროთ.

აქტივობის შემდგომ ფაზაში სტუდენტებს დაფაზე ჩამოაწერინეთ სოციალური და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა სახის პრობლემები, რომლებსაც ისინი ქართულ ან რომელიმე სხვა ქვეყნის სინამდვილეში ხედავენ. დაავალეთ სტუდენტებს განსაზღვრონ, ზემოთ ჩამოთვლილი რომელი პლატფორმის პოლიტიკური ძალისთვის იქნება უფრო მეტად პრიორიტეტული თითოეულ ამ პრობლემაზე რეაგირება. აქტივობის დასასრულ, შეეცადეთ სტუდენტებთან ერთად განსაზღვროთ როგორც ქართული პოლიტიკური პარტიების

იდეოლოგია, ისე ზოგადად, პარტიების საჭიროება სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთერთზემოქმედებისა და ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში.

თავი V. კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები

თემატური ბლოკებიდან ბოლო ეტაპზე წარმოდგენილია „კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები“, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავშალოთ ისტორიულ პერსპექტივასა და თანამედროვეობის გადასახედიდან გლობალიზაციის და ანტიგლობალიზაციის განვითარების მიზეზები და შედეგები, დავანახოთ სტუდენტს ამ პროცესების თეზა-ანტითეზის ფორმატში მიმდინარეობა, კულტურული და ცივილიზაციური სივრცეები, კულტურათაშორისი დიალოგი თუ დაპირისპირება, რომელიც ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობაში ესოდენ აქტუალური და მნიშვნელოვანია. ასევე, წარმოვაჩინოთ როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი ხალხებისა და ერების მსოფლმხედველობრივი პარადიგმების როგორც ჩამოყალიბების, ისე ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის მიზეზები. გამოვუმუშავოთ უნარი, რომ კლიშეების და სტერეოტიპების დაცვა არ მიაჩნდეს ტრადიციის დაცვად. პედაგოგის ამოცანაა სტუდენტს გააგებინოს, რომ მუდმივმოქმედ გარემოში ადაპტაციის უნარი აუცილებელია, რათა ფსევდო-ფასეულობები გაარჩიოს ნამდვილი ღირებულებებისგან და გარდაუვალმა ცვლილებებმა არ მოიტანოს როგორც პიროვნული, ასე ეთნოსისა და ერის დონეზე აპათია, რაც სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის სერიოზული დაბრკოლებაა დღესაც, ხოლო ისტორიულ წარსულში ხალხებისა და ქვეყნების გაქრობის მნიშვნელოვანი მიზეზიც გამხდარა. ამასთანავე, წარმოდგენილი თემატური ბლოკის ფარგლებში სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ ისეთი მნიშვნელოვანი უნარი, როგორიცაა ინტერკულტურული კომუნიკაცია.

გზამკვლევის მეხუთე თავში „კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები“ სარეკომენდაციო შინაარსობრივი საკითხები დავაჯგუფეთ უკვე ზემოთ აპრობირებული პრინციპის შესაბამისად. ანუ იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს როგორც თემატურ სათაურს, ასევე ექვსივე სწავლის შედეგს (ბუნებრივია, შესრულების ცალკეული კრიტერიუმების დონეზე). ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ნათლად აჩვენებს

შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის პრინციპს, ანუ რა უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს თემატური ბლოკის ფარგლებში, რომ ყველა შედეგი დამუშავდეს.

კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები		
სწავლის შედეგები	**შესრულების კრიტერიუმები**	**სარეკომენდაციო საკითხები**
1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება.	• **სხვადასხვა ეპოქასა** და სოციუმში ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლებს გამოყოფა; • სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება; • სხვადასხვა ეპოქაში **სხვადასხვა ტიპის დანაშაულის** გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი შემცირების გზების შესახებ მსჯელობა; • ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივს ინტერესების ერთმანეთთან შედარება; • **უმცირესობებსა** და **მოწყვლად ჯგუფებთან** საზო-გადოების ურთიერთობის თავისებურებებისა და მათი დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა; • ამა თუ იმ **ეპოქის** საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებისა და მათ უფლება-მოვალეობების შედარება; ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული	• ქრისტიანული მისიონერობის შედეგები რომის იმპერიასა და მის გარეთ; • მსოფლიო საეკლესიო კრებები, ბიზანტია და საქართველო; • ისლამის წარმოშობა და არაბული კულტურა მსოფლიოსა და საქართველოში; • ბიზანტიის დაცემის

	საფუძვლების კვლევა.	მნიშვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის • რენესანსისა და ჰუმანიზმის მახასიათებლები; • ვახტანგ VI-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა;
2. **დემოკრატიის პრინციპების** ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება.	• **პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმებში** მონაწილეობის, როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობის, მნიშვნელობის დასაბუთება; • სხვადასხვა ეპოქაში ინფორმაციის მოპოვების და საჯაროობის უზრუნველყოფის გზების შედარება; პროცედურების დაცვით მისთვის სასურველი/ საინტერესო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა; • წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/ უკუსვლასთან დაკავშირება; • სხვადასხვა ეპოქაში **ხელისუფლების დანაწილების პრინციპ**ის რეალიზების ერთმანეთთან შედარება; • ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი **მმართველობის ფორმებისა** და **პოლიტიკურ რეჟიმების** მახასიათებლების შედარება;	• განმანათლებლობა და მისი გავლენები; • თერგდალეულები და ახალი იდეები; • ახალი პოლიტიკური იდეები და საქართველო (XIX-XX საუკუნეების მიჯნა); • სოციალისტური რეალიზმი და

	• კულტურული, ეთნიკური, რელიგიური მრავალფეროვნების საზოგადოების/ სახელმწიფოს განვითარებასთან დაკავშირება; • ძლიერი თვითმმართველობის სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირება.	საქართველო; • პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე (თანამედროვეობა და საქართველო);
3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული და თანამედროვე მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება.	• **ისტორიულ/ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში** ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციაზე მსჯელობა; • სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ/ პოლიტიკურ პრობლემების ამოცნობა და მათი მოგვარების შესაძლო **გზების** დასახვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით; • სამოქალაქო საზოგადოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის როლის კვლევა; • მმართველობით სტრუქტურებისა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების მიზეზების გამოკვეთა; • წარსულსა და თანამედროვეობაში რელიგიის, როგორც ადამიანის იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობების შედარება; • სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობების შედარება და	• ისტორიული აზრის განვითარების თავისებურებები: ა) ანტიკური; ბ) შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის (ქართული და ევროპული) გ) განმანათლებლობის პერიოდის, დ) მე-19 საუკუნის, ე) მეოცე საუკუნის; • ისტორიის პერიოდიზაციის სისტემები: სამ-წევროვანი დაყოფა, ცივი-

	კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირება.	ლიზაციური დაყოფა.
4. საკუთარი გადაწყვეტილებების/ შეხედულებების ისტორიული წყაროების/ უმთავრესი **სამართლებრივი დოკუმენტების** *(მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია)* საფუძველზე დასაბუთება; ამ დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გააზრება.	• ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან სხვა ტიპის წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ეპოქის **სოციალურ სტრუქტურების** შედარება; • დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის დასაბუთება; • კონკრეტულ ეპოქაში ქართული სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების კვლევა; • კონკრეტული მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო/საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგების შეფასება; • წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოში განვითარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის/ პროცესის საქართველოზე მოხდენილ ნეგატიურ ან პო-ზიტიურ გავლენასთან დაკავშირება; • რომელიმე სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) მაგალითზე ამა თუ იმ ეპოქაში	

	მისი გაერთიანებისა თუ დაშლის განმაპირობებელი საშინაო და საგარეო ფაქტორების დაჯგუფება; • ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული სხვადასხვა საისტორიო წყაროების/მონაცემების შედარების საფუძველზე იმ ფაქტორების გაანალიზება, რამაც განაპირობა ამ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა; • ტერიტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარებასთან დაკავშირება; სხვადასხვა ისტორიული ეპოქისთვის/ საზოგადოების დამახასიათებელი მსოფლმხედველობების შედარება.	

ამ სქემიდან გამომდინარე, გზამკვლევში აქტივობები იმგვარად არის მოწოდებული, რომ მოახდინოს მოსწავლის პროვოცირება, დააინტერესოს თემით. ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გზით მუდმივად ვინარჩუნებთ თანამედროვეობისა და წარსულის კავშირს.

როგორც უკვე მოგეხსენებათ, ერთი თემატური ერთეულის შიგნით ყველა სასწავლო შედეგი მუშავდება (იხ. ცხრილის პირველი სვეტი). მეორე სვეტში დაჯგუფებულია ამ შედეგების ის კონკრეტული შესრულების კრუტერიუმები, რომლებიც უშუალო კავშირშია თემატურ ბლოკთან. მესამე სვეტში კვლავაც წარმოდგენილია თემატურ ბლოკში შემავალი სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება დაჯგუფდეს ან გამოყენებულ იქნას კონკრეტული თემატური ერთეულის ფარგლებში. აქვე გვინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყველა საკითხის მოცვა არაა აუცილებელი წინაპირობა სტუდენტისთვის შესაბამისი კრედიტის მისაღწევად.

რეკომენდებული საკითხები (მით უფრო ისტორიული), როგორ უკვე არაერთგზის აღინიშნა, ქეისებად(განსახილველ მაგალითებად) უნდა იყოს გამოყენებული და თუ ტიპოლოგიურად მსგავსი ქეისები საკითხთა ჩამონათვალში რამოდენიმეა, პედაგოგს შეუძლია აწმყოსა და წარსულის დაკავშირება მისთვის სასურველი მაგალითით მოახდინოს.

მოდულის სწავლების დროს მთავარი უნდა იყოს კონტექსტის ფლობა და ამ თვალსაზრისით არა მაგალითების სიმრავლე, არამედ შემდეგი საკვანძო ცნებების ცოდნა და გააზრება:

<u>საკვანძო ცნებები:</u>

კულტურა (რენესანსი...) **მსოფლმხედველობა** (ჰუმანიზმი, ნაციონალიზმი, გლობალიზაცია, განმანათლებლობა სოციალისტური რეალიზმი რაციონალიზმი,..) **რელიგიური სისტემები** (ქრისტიანობა, ისლამი...) **მრავალფეროვნება, სტერეოტიპი/კლიშე, ცივილიზაცია** (ინდუსტრიული საზოგადოება, ინფორმაციული საზოგადოება)

მოდულის მთლიანობითი აღქმისთვის ამჯერადაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი შეკითხვების შემოთავაზება, რომლებზეც გაცემული პასუხებით გასაგები უნდა გახდეს, თემატური ერთეულის მეშვეობით განსავითარებელ უნარებს ავლენს თუ არა მოსწავლე. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მთელი თემატური ერთეულის სწავლება იმგვარად უნდა მიმდინარეობდეს, რომ საბოლოოდ მოსწავლეებს ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხი არ გაუჭირდეთ. ეს შეკითხვები არ არის საგაკვეთილო პროცესის შეკითხვები, მაგრამ როდესაც გაივლით მთელს თემატურ ერთეულს, საბოლოო ეტაპზე, მან უნდა შეძლოს ადეკვატური რეფლექსიის მოხდენა.

<u>საკვანძო შეკითხვები:</u>

- ✓ რატომ გვჭირდება ისტორიული წარსულის ცოდნა რომ გავერკვეთ თანამედროვეობაში მიმდინარე სოციო-კულტურულ მოვლენების არსში?
- ✓ რატომ იყო და არის რელიგიური სისტემები ადამიანების დიდი ნაწილისთვის მსოფლმხედველობრივი საყრდენი?
- ✓ რატომ არ არის გლობალიზაცია მხოლოდ თანამედროვეობაში მომხდარი მოვლენა?
- ✓ რატომ არის მნიშვნელოვანი სტერეოტიპებისა და კლიშეების გარჩევა მარადიული ღირებულებებისგან?
- ✓ რატომ განაპირობებს ცოდნის დეფიციტი ამა თუ იმ სტერეოტიპს და შესაბამისად უცხოსა და გაურკვევლის მიმართ შიშს?
- ✓ როგორ ხდება ამა თუ იმ ეპოქაში ღირებულებების და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება?
- ✓ როგორ და რატომ ხდება ამა თუ იმ ტიპის კულტურული გავლენების გავრცელება?

- ✓ როგორ და რატომ ხდება თანამედროვე თუ წარსულის ეპოქის მახასიათებლად კულტურული და მხოფლმხედველობრივი საერთო ღირებულებები?

როგორც არაერთგზის აღინიშნა, ზოგადი კურსი - ,,მოქალაქეობა'' ისტორიული მაგალითების მოშველიებით თანამედროვე მსოფლიოსათვის აქტუალური მრავალი პრობლემის სწავლებას გულისხმობს; სწორედ მათი ცოდნა განაპირობებს მოსწავლის ჩამოყალიბებას კარგად ინფორმირებულ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, ღირებულებებზე ორიენტირებულ მოქალაქედ, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძენს უნარებს და ცოდნას თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხზე - კულტურული, რელიგიური, მსოფლმხედველობითი მახასიათებლები რამდენად დიდ როლს თამაშობენ კონკრეტული ადამიანების/პიროვნებების თუ სახელმწიფოების იერსახის ჩამოყალიბებაზე; რა განაპირობებს იმ ღირებულებათა ერთობას, რაც ადამიანებს ან სახელმწიფოებს მსგავს ღირებულებით პლატფორმაზე აყენებს; რა სახის თანამშრომლობა თუ კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს თანხმობა-განსხვავებებმა ამ მიმართულებით; რამდენად აქტუალური იყო და არის ეს თანამედროვე მსოფლიოში და ა.შ.

ამ თემატური ბლოკის ფარგლებში ჩატარებული **გაკვეთილები მიზნად უნდა ისახავდეს** იმას, რომ სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ:

- ✓ პიროვნებაც და სახელმწიფოც/სახელწიფოთა ერთობლიობაც არსებობისთვის საჭიროებს გარკვეულ ღირებულებათა ერთობას, რომელიც სხვადასხვა ფენომენების ერთობლიობით ყალიბდება;

- ✓ მსოფლმხედველობრივი, რელიგიური და კულტურული ცვლილებები მტკივნეულია და როგორც პიროვნულ, ისე სახელმწიოებრივ დონეზე კონფლიქტურ სიტუაციებსაც ქმნიდა და ქმნის;

- ✓ ყველა ისტორიულ ეპოქას აქვს თავისი სოციო-კულტურული მახასიათებლები და ამით არის უნიკალური;

- ✓ ტრადიციის დაცვა და ნოვაციების მიღება აუცილებლად ურთიერთგამომრიცხავი არ არის;

- ✓ გლობალიზაცია და ანტიგლობალიზაცია კაცობრიობის განვითარების ციკლში ბუნებრივი ფაზებია;

- ✓ კლიშეებითა და სტერეოტიპებით აზროვნება ტრადიციის ერთგულება არ არის;

- ✓ ცვალებადობა ისტორიული განვითარების მახასიათებელია და მუდმივმოქმედ გარემოში ახალი გამოწვევების მიღება და მათზე ადექვატური რეაგირება პროგრესის წინაპირობაა;
- ✓ თანამედროვე სამყაროში გლობალური (მსოფლიო მასშტაბის) კონფლიქტი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი ნიშნით დაუშვებელია, რადგან ეს თანამედროვე ცივილიზაციის აბსოლუტურ კრახს გამოიწვევს;

- ✓ სტერეოტიპები (კულტურული; გენდერული; გარეგნობასთან, პიროვნულ უნარებთან, ფიზიკურ უნარებთან დაკავშირებული; ეთნიკურ კუთვნილებასთან, შეხედულებებთან დაკავშირებული) უხვად შობს პერსონალურ თუ საზოგადოებრივ პრობლემებს და მათი თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება განათლება და მედიაციაა.

- ✓ მრავალფეროვნება (რელიგიური, ეთნიკური, ყოფითი, ესთეტიკური და ა.შ.) თანამედროვე სახელმწიფოს ღირსება შეიძლება იყოს იქ, სადაც ღირებულებითი სისტემა (ფუნდამენტური ადამიანის უფლებებები, მმართველობის ფორმა...) წესრიგშია.

- ✓ საზოგადოებრივი სიკეთეებზე წვდომის არარსებობა იწვევს საზოგადოების შიგნით გაუცხოებას და სოციო-კულტურული ფაქტორებით მანიპულირების საშუალებას;

✓ ისტორია შეიძლება კარგი მაგალითი იყოს, თუ რა შედეგები მოჰქონდა კონფლიტებს ღირებულებითი/მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების თავიდან ვერ/არ აცილების შემთხვევაში.

****

აქტივობების მეხუთე თავშიც გთავაზობთ დისციპლინების (ისტორია და სამოქალაქო განათლება) ინტეგრაციის ფორმატში მომზადებულ რამოდენიმე სანიმუშო, ტიპურ გაკვეთილს იმ სქემით, რა სახითაც პედაგოგებმა შემდგომში თავადაც უნდა შეძლონ „მოქალაქეობის“ გაკვეთილების დაგეგმვა და აწმყოში მიმდინარე მოვლენებისა და წარსულის მაგალითების ადეკვატური სინთეზირება.

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივობები გააზრებულია როგორც ცალკეულ გაკვეთილებად, ისე საგაკვეთილების სერიად (ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის მიყოლი წყება), რომელთაგან ზოგი ნიმუშად, სრული სახით არის შემოთავაზებული საგაკვეთილო პროცესისთვის, ზოგი კი - მასწავლებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, ოღონდ არსებული კონტექსტის ფარგლებში თავად დაასრულოს. ეს საგაკვეთილო სერია, შემაჯამებელ აქტივობებთან ერთად მთლიანად ფარავს ერთ (ერთნახევარ) კრედიტს.

ტიპური გაკვეთილების ნიმუშები

შესავალი გაკვეთლი თემაზე: თანამედროვეობა და საქართველო

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმი:** 5. მსჯელობს სოციალურ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე; **<u>შედეგი:</u>** 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმი:**	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ: ✓ დაინახონ, რომ ისტორიული ეპოქების კვლადაკვალ კულტურათა შორის ურთიერთგავლენები ბუნებრივი მოვლენაა; ✓ გაიაზრონ, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა შედეგად მოიტანა გლობალიზაცია, რამაც თავის მხრივ სხვადასხვა კულტურები დაახლოვა ერთმანეთთან; ✓ გაანალიზონ გლობალიზაციისგან მომდინარე როგორც საფრთხეები, ისე შესაძლებლობები (გათავისუფლდნენ სტერეოტიპისგან, თითქოს გლობალიზაციას მხოლოდ ნეგატიური მხარე აქვს); ✓ შეძლონ პოზიტიური ინტერკულტურული კომუნიკაცია განსხვავებული კულტურის ადამიანებთან, რომელთაც კი შეიძლება ცხოვრების მანძილზე შეხვდნენ.
	რესურსები	• მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 58-60, 142-151, 173-181, 195-197 (სახელმძღვანელო ელექტრონული ფაილის სახით თან ერთვის გზამკვლევს); • თანდართული ვიზუალური მასალა.
	გაკვეთილების მსვლელობა	**I გაკვეთილი** გაკვეთილს დასაწყისში მასწავლებელმა სტუდენტების თემის ირგვლივ პროვოცირება შეიძლება მოახდინოს იმაზე საუბრით, ვის მოსწონს ჯინსის სამოსი, რამდენად ხშირად იცვამენ მას და თუ იციან მისი წარმომავლობა. ამის შემდეგ პედაგოგი სტუდენტებს სთავაზობს გაეცნონ ტექსტს „<u>სამოსი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა</u>“ (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 58-60). ამ ტექსტს სტუდენტები უნდა გაეცნონ იმ კუთხით, რომ დაინახონ კულტურულმა სიახლემ როგორ იმოგზაურა და როგორ მოიცვა მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველოც. დედააზრი

2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე. **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		როგორც ამ გაკვეთილისა, ისე მთლიანად თემატური ბლოკისა, არის ის, რომ კულტურული ფენომენები წარმოიშვებიან ერთ ადგილას და შემდეგ ფართოდ ვრცელდებიან, რასაც სიახლეები შეაქვს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, განაპირობებს ერთა კულტურებისა და მსოფლმხედველობის ცვლილებას და განვითარებას. ეს არის გარკვეული კანონზომიერება, რომელიც უნდა გავაგებინოთ სტუდენტებს. **II გაკვეთილი** გაკვეთილი ჯინსის ტანსაცმელის შესახებ დაგვეხმარა იმის გარკვევაში, თუ როგორ ვრცელდება კულტურის ესა თუ ის ელემენტი მთელ მსოფლიოში. კულტურის გლობალიზაციის სხვა თვალსაჩინო მაგალითებად სტუდენტებს მიმდევრობით ვაჩვენოთ *<u>დანართ 1-ში</u>* მოცემული სურათები და ვთხოვოთ იმსჯელონ: 1. რა არის გამოსახული მათზე; 2. თუ იციან მისი წარმომავლობის შესახებ; 3. რატომ არის ასე საყოველთაოდ ცნობილი. ეს აქტივობა გლობალიზაციის ფენომენის ახსნაში დაგვეხმარება, რის შემდეგაც საკითხის უფრო ღრმად გასაგებად სტუდენტებს შეგვიძლია შევთავაზოთ გაკვეთილი <u>გლობალიზაციის</u> შესახებ მსოფლიო კულტურის სახელმძღვანელოდან (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 142-146). **III გაკვეთილი** მესამე გაკვეთილზე სასურველია დისკუსიის ჩატარება გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

		თავიდან სჯობს გონებრივი იერიშით დაწყება, თუ როგორ ესმით სტუდენტებს გლობალიზაცია, რა საფრთხეები და სიკეთეები ახლავს მას. თუ გონებრივი იერიშისას უფრო მეტად გლობალიზაციის ნეგატიური აღქმა გამოიკვეთა, სუდენტებს გავაცნოთ ტექსტი „გლობალიზაცია – საფრთხე თუ შესაძლებლობა?“ (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 147-151). ეს მათ დაეხმარება გლობალიზაციის შესახებ არსებული სტერეოტიპების მსხვრევაში და კარგი საშუალებაა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად. ამასთან, დისკუსიისვის დამატებითი არგუმენტების გენერირების საშუალებასაც იძლევა. ასეთი მოსამზადებელი აქტივოებების შემდეგ დისკუსია გაცილებით ნაყოფიერად ჩაივლის. **IV გაკვეთილი** მას შემდეგ, რაც სტუდენტები გაიაზრებენ კულტურის ელემენტების გავრცელების მექანიზმსა და გლობალიზაციის ფენომენს, სასურველია ყურადღება დავუთმოთ კულტურულ მრავალფეროვნებას, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვარსა და სიმდიდრეს და ეს თემა საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების ჭრილში განვიხილოთ. ამისთვის კვლავ გამოგვადგება მასალა მსოფლიო კულტურის სახელმძღვანელოდან (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 173-175). **V გაკვეთილი** გაკვეთილის დასაწყისში სტუდენტებს ვთხოვოთ გაიხსენონ, რა სტერეოტიპებმა იჩინა თავი გლობალიზაციის შესახებ გაკვეთილებზე. ვკითხოთ, კიდევ რა სახის

		სტერეოტიპების შესახებ სმენიათ, ასევე, შეუძლია თუ არა სტერეოტიპებს გარკვეული პრობლემების შექმნა ადამიანთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. სტერეოტიპის ფენომენის სწავლების მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ შესაბამისი პარაგრაფი მსოფლიო კულტურის სახელმძღვანელოდან (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 179-181). **VI გაკვეთილი** ეს გაკვეთილი ეძღვნება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან პოზიტიური ურთიერთობის მნიშვნელობას. თავდაპირველად გამოვიყენოთ გონებრივი იერიშის მეთოდი და ვკითხოთ სტუდენტებს, როგორია მათი გამოცდილება განსხვავებული ენის, რელიგიის, ეროვნებისა მქონე ადამინებთან ურთიერთობის თვალსაზრისით (გაუადვილდათ, პრობლემები შეექმნათ თუ სხვა რამ). იმის გასააზრებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინტერკულტურულ კომუნიკაციას, როგორ შეგვიძლია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან პოზიტიური ურთიერთობა, მივმართოთ კვლავ მსოფლიო კულტურის სახელმძღვანელოს, კერძოდ, შემდეგ პარაგრაფებს: „კულტურული შოკი“ (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 176-178) და „ინტერკულტურული კომუნიკაცია. ინტერკულტურული დიალოგი“ (მსოფლიო კულტურა, X/XI/XII კლასის სახელმძღვანელო, გვ. 195-197).
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	6 საგაკვეთილო საათი

	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, შემთხვევის განხილვის, ტექსტების, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

დანართი 1. ვიზუალური მასალა გლობალიზაციის ფენომენის ასახსნელად.

Coca-Cola

<u>გაკვეთილის თემა:</u> როგორ აღვიქვამთ გარშემომყოფებს
(თანამედროვებისა და წარსულის გადასახედიდან)

<u>სწავლის შედეგები და კრიტერიუმები</u>	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**	
<u>**შედეგი:**</u> 1.დემოკრატიული ქვეყნის სოცია-	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტებს ხელი შევუწყოთ; ✓ გააცნობიერონ საკუთარი და სხვების აღქმა, კერძოდ, მათ უნდა ესმოდეთ რა დატვირთვა გააჩნიათ სტერეოტიპებს

ლურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმები:** 5.მსჯელობს სოციალური უმცირესობებისა და მოწყლვადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე **<u>შედეგი:</u>** **2.** მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა; **შესრულების კრიტერიუმები:**		ჩვენი კომპლექსური საზოგადოებისა და სამყაროს შეცნობის გამარტივებაში. ✓ გაითავისონ, რომ სტერეოტიპულად აზროვნება, ხშირ შემთხვევაში, ჯანსაღი სოციალიზაციის ხელშემშლელი ფაქტორია დღესაც და წარსულშიც ბევრ განხეთქილებასა და შუღლს ქმნიდა; ✓ სტერეოტიპი შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის (რელიგიური, მსოფლმხედველოებრივი, ყოფითი....); მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენი აღქმა და ცრურწმენები საბოლოოდ აისახება პოლიტიკურ კულტურაზეც, რომელიც ან ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის დემოკრატიას, ან ძირს უთხრის მას; ✓ მთავრობებისთვის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებისა და განსხვავებულობის პატივისცემის ჩაწერა საკმარისი არაა და რომ სოციალური და კულტურული საწყისები თანაბრად მნიშვნელოვანია. სტუდენტებმა ისტორიული პერსპექტივიდან უნდა შეძლონ ახსნან მსოფლმხედველობრივი შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკუთარი ხედვის სხვაზე ძალით თავსმოხვევას რა უარყოფითი შედეგები მოაქვს. ✓ გაიაზრონ, რომ განათლებაა იმის ბერკეტი, რომ სტერეოტიპების ამოცნობა, ფსევდო და ნამდვილი ღირებულებების გარჩევა შეძლოს ადამიანმა და მრწამსზე და შეხედულებებზე მოძალადის ხელში არ იქცეს ბრმა იარაღად.
	რესურსები	გრიფირებული სახელმძღვანელოები: ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა'' და ,,გამომცემლობა დიოგენეს'' მე-11 და მე-12

1. სწორად განსაზღვრავს ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლებს სხვადასხვა სოციუმში; **<u>შედეგი:</u>** **3**.საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმები:** 1.გაიაზრებს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობას წარსულსა და თანამედროვეობაში. 2.წარსული და თანამედროვე		კლასის სახელმძღვანელოები ისტორიაში; ,,საქართველოს მაცნის'' მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო <u>(თემა 31, 110 გვ.);</u> ,,დემოკრატიის სწავლება'', წიგნი 6. თავი 4. *(ჩვენს მიერ მოდიფიცირებული გზამკვლევშივეა საგაკვეთილო სქემებად გაწერილი და წარმოდგეილი)* <u>ინტერნეტ-რესურსები:</u> ქართული ვიკიპედია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
	გაკვეთილის ფაზები	დაფაზე ვწერთ ტერმინებს გაფანტულად: **თანამშრომლობა, შეუთანხმებლობა, ტრადიცია, კლიშე, ცრურწმენა, განსხვავება/მსგავსება, პიროვნება, საზოგადოება, სტერეოტიპი** და მივმართავთ გონებრივ იერიშს შეკითხვით: თქვენი აზრით, რის შესწავლას და გაანალიზებას უნდა მიეძღვნას ჩვენი გაკვეთილი? სტუდენტთა პასუხებს, როგორც შეცდომით დასახელებულს, ასევე სწორ ვარიანტებს დაფაზე ვინიშნავთ. ჩვენი წახმარებით ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ **სტერეოტიპის ირგვლივ** უნდა ჩატარდეს გაკვეთილი. შემდეგ სტუდენტებს მივმართავთ შეკითხვით: მათი აზრით, რა ქმნის სტერეოტიპს (თუკი ესმით ამ ტერმინის მნიშვნელობა) და შეიძლება თუ არა სტერეოტიპული მიდგომა და აზროვნება ქმნიდეს არასასიამოვნო სიტუაციებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ჰკითხეთ მათ, თუ ყოფილან თვითმხილველი ან მომსწრე სტერეოტიპის გამო რაიმე სახის საზოგადოებრივი კონფლიქტისა? პასუხები იქნება სხვადასხვაგვარი. გინდაც იცოდნენ, სტუდენტებს მაინც შესთავაზეთ **ტერმინის** განმარტება: *ტერმინი **სტერეოტიპი** სტამბიდან წამოვიდა. ის მძიმე საბეჭდ ფორმას, გალვანურ კლიშეს ეწოდებოდა რომელიც*

მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე.		*ერთხელ აღნიშვნის შემდეგ ძნელად იცვლება. ასეთივე, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობა აქვს მას სოციალურ ფსიქოლოგიაშიც. ზოგიერთ შემთხვევაში ერთხელ შექმნილი წარმოდგენა ადამიანთა ჯგუფის/კატეგორიის შესახებ ვრცელდება მის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი კონკრეტულ პიროვნებას.* (წ ყ ა რ ო: ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, [მეთოდური სახელმზღვანელო], ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი,– რედ. ჯავახიშვილისა ჯ. სარჯველაძის ნ.,–თბ,– 2007.) **კლიშე** (ფრანგ. cliché), საბეჭდი ფორმა, იყენებენ საილუსტრაციო ორიგინალების მაღალი ბეჭდვის ხერხით აღწარმოებისათვის. **გადატ. მნიშვნელობით:** ასევე არის ფრაზა, გამოთქმა, იდეა, რომელმად დროთა განმავლობაში ზედმეტი ხმარების გამო აქტუალობა დაკარგა და ყბადაღებული გახდა; ნეგატიური კონტექსტი აქვს და ხ შ ი რ ა დ სტერეოტიპის გაგებას უახლოვდება. მათი ინტერესის პროვოცირებისთვის სტუდენტებს მაგალითის სახით რაიმე საზოგადოებაში მიმდინარე, მათთვის ცნობილი თემატური მოვლენა შეახსენეთ, თუნდაც სულ ახლახანს მიმდინარე ,,ქართველთა მარში''. წინასწარვე განაცხადეთ, რომ საკითხის პოლიტიზირება არაა ამ შემთხვევაში არც თქვენი, არც მათი მიზანი და უფრო კულტურულოგიურ ჭრილში გეგმავთ პრობლემის განხილვას. სთხოვეთ მათ, გამოხატონ საკუთარი აზრი (თუკი ამაზე უფიქრიათ) გარდა ნამდვილად არსებული მიზეზებისა, მაგალითისთვის მოხმობილ მოვლენაში გამოიკვეთა თუ არა მოსახლეობის დასარაზმად სტერეოტიპის, ცრურწმენის,

		ეთნიკური თუ რელიგიური განსხვავების ფაქტორებით აპელირება და სთხოვეთ თუკი ასეთი რამ დაინახეს, თავისი პოზიციის დასაბუთებისთვის მოიშველიონ არგუმენტები. პედაგოგმა გასწიოს ფასილიტატორობა და სტუდენტებს მაქსიმალურად მისცეს საშუალება თავისი აზრი არგუმენტირებულად გამოხატონ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ,,ნაცნობი'' თემით სტუდენტის პროვოცირება თქვენ გაძლევთ მათი წინარე ცოდნის (ანუ ცხოვრებისეული) გააქტიურების საშუალებას. იმისთვის ნებისმიერი სახის სტერეოტიპებით ნასაზრდოებ ქმედებებზე ადექვატური რეფლექსიის უნარი გამოუმუშავოთ, უკვე საკუთრივ საგაკვეთილო პროცესს ეტაპობრივად წარმართავთ მოსწავლეთა წინაშე: კერძოდ, იწყებთ იმით, რომ მასწავლებელი დიდ ფორმატზე ჩამოწერს რაც შეიძლება ბევრ განსხვავებას, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს ადამიანებს შორის. კლასში თუკი გაქვთ საშუალება, დაყოფთ სტუდენტებს 4 ჯგუფად (თუნდაც ორკაციანი იყოს), თითოეული ჯგუფი განიხილავს ერთი ტიპის განსხვავებას: ✓ განსხვავებები ფიზიკურ გარეგნობაში ✓ ფსიქოლოგიური განსხვავებები ✓ სოციალური განსხვავებები ✓ კულტურული განსხვავებები <u>პედაგოგი</u> უხსნის სტუდენტებს რაში მდგომარეობს ადამიანებს შორის მსგავსება და განსხვავება. სტუდენტებმა უნდა შეძლონ განსხვავებებზე მსჯელობა და იმის გაცნობიერება, რომ

		განსხვავებების წარმოშობა დიდწილად სოციალურ სტრუქტურებს უკავშირდება. ასევე საგულისხმოა აუხსნათ, რომ მათთვის განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში ძალიან ,,მახლობელია'' ეს თემა, იმიტომ რომ მოზარდს სურს უფროსის ყურადღების მიპყრობა, სურს, რომ ის ცნონ და აღიარონ. ინდივიდუალობის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ის ,,უჯანყდება'' უფროსებს, მათ შორის უპირველესად მშობლებს. რომ ეს ყველაფერი ნორმალური მოვლენაა და დარეგულირებას ექვემდებარება, თუკი პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში მისი ღირებულებათა სისტემა სწორ ფუნდამენტს დაეფუძნება. ეცადეთ მინი-ლექციით სტუდენტებს გააცნობიერებინოთ, რომ ადამიანებს შორის თუნდაც ბიოლოგიური განხვავებები იმდენია, რომ არავის ძალუძს მათი სრული დახასიათება. მაგალითად, შეუძლებელია ითქვას, რომ ინტელექტისა და აზროვნების ერთი ფორმა მეორეზე მაღლა დგას. განსხვავებები, რომელიც თავს იჩენს და მნიშვნელოვანია ადამიანების ურთიერთობაში, არის განსხვავებები რომელიც საზოგადოებიდან მოდის - მაგალითად ღირებულებები ან სოციალური სტატუსი. საკითხი უფრო სიღრმისეულად რომ გააგებინოთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები დააფიქროთ, რათა მათ შეძლონ სტერეოტიპების საკუთარ ცნობიერებაში მოძებნა და კრიტიკულად განხილვა. გააზრება, თუ რამდენად გვეხმარება ან ხელს გვიშლის სტერეოტიპები იმ საზოგადოებაში ან სამყაროში ცხოვრებისთვის, სადაც გვიწევს ყოფნა. აქ კარგად გამოგადგებათ ე.წ. კუთხეების მეთოდი (აქტივობა). სტუდენტები საკლასო ოთახის ცენტრში დააყენეთ, პედაგოგი

		კითხულობს მოსაზრებებს ქალების, მამაკაცების, სხვადასხვა ეროვნების და ა.შ. შესახებ. *(მაგ.: 1.1 ქალის ადგილი სამზარეულოშია; 1.2. ქალები ნაკლებ ინტელექტუალები არიან ვიდრე მამაკაცები; 1.3. ქალსაც და მამაკაცსაც თანაბარი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ; 1.4. ქალსაც და მამაკაცსაც შეუძლიათ თანაბარი წარმატებით იმსახურონ ჯარში; 1.5. გოგოები ბეჯითები არიან, ბიჭები კი - ჭკვიანები, 1.6. ბიჭები უკეთ ძლევენ მათემატიკას ვიდრე გოგოები. 2.1. კაცს უკეთ დაჰყავს მანქანა, ვიდრე ქალს, 2.2 კაცის ღალატი ოჯახში არაფერია, ქალის კი - უბედურებაა; 2.3. კაცს რაც შეუძლია, ქალი იმას ვერ შეძლებს. 3.3. რაც კარგები ვართ ქართველები ვართ, 3.4. სომხები ძუნწები არიან, შავკანიანებს არასასიამოვნო სუნი ასდი...)* [ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების ნიმუშების სია თქვენ თავად შეგიძლიათ კიდევაც განავრცოთ ან თქვენეული სხვა ჩამონათვალი შესთავაზოთ სტუდენტებს]. იმისდა მიხედვით, მასწავლებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება სწორად მიაჩნიათ თუ არა, სტუდენტები ნაწილდებიან საკლასო ოთახის შესაბამის კუთხეებში და ჯგუფდებიან თანამოაზრეებთან ერთად. სტუდენტები, რომელთაც პასუხი არ აქვთ, რჩებიან ოთახის ცენტრში. პედაგოგი სტუდენტებს, რომლებიც კუთხეებში გადაჯგუფდნენ, სთხოვს ახსნან საკუთარი არჩევანი. ამის შემდეგ, პედაგოგი მათ აუხსნის მართებულია თუ არა მათ მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება. კარგი იქნება, თუკი შუაში დარჩენილ სტუდენტებსაც აახსნევინებთ, რატომ არ გაიზიარეს ესა თუ ის პოზიცია. შემდეგ სტუდენტებს თავად სთხოვთ გაიხსენონ სტერეოტიპების, ცრურწმენების მაგალითები. მსჯელობებით ისინი მიგყავთ იმ

		აზრამდე, რომ ეს სტერეოტიპი და ცრურწმენა უმეტესად საკუთარ დაკვირვებაზე, საკუთარ განცდაზე, თავს გადახდენილზე კი არაა დაფუძნებული, არამედ ან მშობლისგან/უფროსისგან გაუგია, ან ყური მოუკრავს, ან ვინმეს ბაძავს და იმეორებს და ა.შ. იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა შეძლონ სხვა ადამიანების (უცხოს, ამ სიტყვის ფართო გაგებით) შესახებ არსებულ სტერეოტიპების ამოცნობა/დადგენა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსხვავებული აღქმა; ასევე იმის გაცნობიერება, რომ ადამიანების ტოლერანტობას აქვს საზღვრები,რომ ადამიანთა ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ყველაზე უკეთესი არჩევანი ჯანსაღი თანაცხოვრებაა სადაც ურთიერთშეთანხმება ან ერთმანეთის ატანა კონფლიქტის გარეშე ხდება, პედაგოგმა შეიძლება კიდევ შემდგომი აქტივობები განახორციელოს: 1. ყოველ სტუდენტს ურიგდება სცენარის *(იხ. დანართი 2)* თითო ეგზემპლიარი, რომელსაც ისინი დამოუკიდებლად ეცნობიან. 2. ყოველი სტუდენტი ჩამონათვლიდან ირჩევს სამ ადამიანს, რომელთანაც ისურვებდა მგზავრობას და სამ ადამიანს რომელთანაც არავითარ შემთხვევაში არ ისურვებდა მგზავრობას. 3. მოსწავლეები ჯგუფდებიან 2-4 კაციან ჯფუფებად: _ ისინი ერთმანეთს ადარებენ საკუთარ არჩევანს და ერთმანეთს უზიარებენ ამ არჩევანის მიზეზებს. _ ისინი ამჟამად როგორც ჯგუფები ცდილობენ შეთანხმდნენ სამ სასურველ და სამ არასასურველ; თანამგზავრზე _ ჯგუფები ირჩევენ მომხსენებელს. 4.ყოველი მომხსენებელი კლასს აცნობს თავისი ჯგუფის მიერ შედგენილ ჩამონათვალს სამ სასურველ და სამ არასასურველ

		თანამგზავრზე, ასახელებს გაკეთებული არჩევანის მიზეზებს. 5. მასწავლებელი, რომელიც ამ სავარჯიშოს დისკუსიით ასრულებს, ამხნევებს სტუდენტებს, რათა მათ ღიად ისაუბრონ თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ, მაგალითად: _რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი არჩევანის გაკეთებისას? _ თუ ჯგუფი ვერ შეთანხმდა ჩამონათვალზე რა იყო ამის მიზეზი? _ რომელ სტერეოტიპებს შეიცავს მგზავრთა ჩამონათვალი? _საიდან მოდის ეს წარმოდგენები? _როგორ იგრძნობდი თავს, შენთან ერთად მგზავრობა რომ არავის მოესურვებინა? (დანართში არსებული ჩამონათვალი თქვენ შეგიძლიათ გადააკეთოთ სურვილისამებრ, სტუდენტთა ასაკობრივი ჯგუფის ან სოციალური წარმომავლობის შესაბამისად.) მართალია სტერეოტიპებსა და მათ ნიადაგზე მიმდინარე უთანხმოებებს ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ერთ-ერთი თვალშისაცემი, ჩვენი საზოგადოების მაგალითზე, კულტურათა ,,შეჯახებაა'', ამიტომ კიდევ ერთი სავარჯიშო შესთავაზეთ სტუდენტებს, რაც ,,კულტურათა შეჯახების'' სიმულაციით*(როლური თამაში)* საშუალებას მისცემს დააკვირდნენ და შეისწავლონ ის სტერეოტიპები, რომელიც თავად მათ შემოაქვთ (თქვენ ინიშნავთ/იმახსოვრებთ შემდგომი განხილვისთვის) სავარჯიშოს შესრულების დროს. სტუდენტებისგან ქმნით ორი ჯგუფს - ერთი გახლავთ ,,ტურისტები'' ხოლო მეორე - ,,მკვიდრი მოსახლეობა''. ძალიან სასურველი იქნებოდა, თუკი საშუალება გაქვთ, ეს ორი ჯგუფი ცალ-ცალკე, ოღონდ გვერდიგვერდ კლასებში

		განათავსოთ. თუ ამის საშუალება არაა, უკიდურეს შემთხვევაში, განცალკევებით დასვით კლასში. მათ ეძლევათ 15 წუთი იმისთვის, რომ ,,შექმნან გარემო'', სადაც განვითარდება მოვლენები და ასევე მოემზაონ თავიანთი როლებისთვის. (თქვენი სტუდენტების შესაზლებლობის გათვალისწინებით, ისე რომ მეორე ჯგუფმა არაფერი იცოდეს, ცასლკეულ ჯგუფებს წინასწარაც შეიძლება გარკვეული ინსტრუქციები მისცეთ საკუთარ ,,როლებთან'' დაკავშირებით). 1. ,,ტურისტები'' ჩანაწერის სახით ქმნიან ინფორმაციას თავიანთ ქვეყანაზე, ასევე ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას ელიან თავიანთი მოგზაურობიდან, და ამზადებენ აღჭურვილობას, მაგალითად კამერას, მობილურ ტელეფონს, უცხოურ ვალუტას. სავარაუდოდ, ეს ყველაფერი არ მოიპოვება კლასში მაგრამ სტუდენტებს შეუძლიათ სიმბოლოები დაიტანონ ფურცლებზე, რომელიც ნივთები მაგივრობა გასწევს. 2. ,,მკვიდრი მოსახლეობა'' ადგენს ინფორმაციას საკუთარ ქვეყანაზე და კულტურაზე: ოჯახის სტრუქტურა, ეკონომიკა, ხელობის დარგები, ტანისამოსი, და საცხოვრებელი პირობები იქნება წარმოდგენილი. ეცადეთ, სთხოვოთ სტუდენტებს, რომ ,,მკვიდრი მოსახლეობა'' რაც შეეხება ,,პრიმიტიულად'' უნდა წარმოადგინონ. მათ თავიანთ თავს თავისივე მოგონილი სახელს უწოდონ. აქაც ყველაფერი ფურცელზე დატანილი სიმბოლოების მეშვეობით შეიძლება იქონიონ. მოქმედება შემდეგნაირად წარიმართოს: ორი ტურისტი სუვენირების შეძენისა და ფოტოების გადაღების პროცესში ხვდება ორ ,,მკვიდრ მოსახლეს''. ტურისტები ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფში და თავის თავგადასავალს უყვებიან სხვა

		ტურისტებს, აღწერენ ,,მკვიდრი მოსახლეობის'' კულტურას, რაც მათ უცნაურად ეჩვენათ. ორი ,,მკვიდრი მოსახლე'' უბრუნდება თავის ჯგუფს, უყვება მათ ტურისტებთან შეხვედრის ამბავს და ამ უკანასკნელების მათდამი დამოკიდებულებაზე საკუთარი შთაბეჭდილებებისაც უზიარებს. 3. ტურისტები იჭრებიან ,,მკვიდრი მოსახლეობის'' ტერიტორიაზე და ცდილობენ თავიანთი ყოფითი ,,უპირატესობები'' (ყოფილი, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური...) თავს მოახვიონ მათ. ,,მკვიდრ მოსახლეობას'' არ სურს თავისი ცხოვრების წესის შეცვლა. 4. ,,ტურისტთა'' და ,,მკვიდრ მოსახლეთა'' ჯგუფები ერთმანეთს ხვდებიან და აჯამებენ შედეგებს: ✓ რას გრძნობენ ,,ტურისტები''? ✓ რას გრძნობს ,,მკვიდრი მოსახლეობა''? ✓ რას ფიქრობენ ,,ტურისტები'' ,,მკვიდრი მოსახლეების'' შესახებ? ✓ რას ფიქრობს ,,მკვიდრი მოსახლეობა'' ,,ტურისტების'' შესახებ? ✓ ,,ტურისტები'' უზიარებენ ,,მკვიდრ მოსახლეობას'' რაც იყო უცნაური მათ ქცევაში ✓ ,,მკვიდრი მოსახლეობა'' უხსნის ,,ტურისტებს'', რა იყო მათთვის გაუგებარი ტურისტების ქცევაში ✓ ,,ტურისტების'' თვალსაზრისით, რა უნდა გაეკეთებინა მკვიდრ მოსახლეობას იმისთვის, რომ მათ შორის კონტაქტი ადვილად დამყარებულიყო ✓ ,,მკვიდრი მოსახლეობის'' თვალსაზრისით, როგორ უნდა

		მოქცეულიყვნენ ,,ტურისტები'', რომ არეულობა არ შეეტანათ მკვიდრი მოსახლეობის საზოგადოებაში ✓ შეკითხვა ტურისტებს: კვლავ რომ მოგიწიოთ წასვლა იმ ქვეყანაში, რა გეცოდინებათ ამ ქვეყნის შესახებ და რას გააკეთებთ იმისთვის, რომ არ დაარღვიოთ მათი იდილია? ამგვარად, სიმულაციითა და შეჯამებით მოსწავლეები ეცნობიან შესაძლო კონფლიქტს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას (ან წარმოშობილა ისტორიულ წარსულში მსგავს სიტუაციაში, შეგიძლიათ ფილმებიც გაახსენოთ, ან შესთავაზოთ, თუნდაც მხატვრული ფილმი - ,,აპოკალიპტო'' და უთხრათ, ნახონ ეს ფილმი და დაუკავშირონ თქვენს მიერ ჩატარებულ აქტივობას) მოსწავლეების ,,სხვის ადგილზე თავის წარმოდგენით'' ცვლიან საკუთარ ხედვას . შეგიძლიათ ამ თემატიკას ისტორიულ ქეისებად დაუკავშიროთ: 1. არაბების მოსვლა საქართველოში და ზოგადად სახალიფოს- როგორც მაშინდელი მსოფლიო სახელმწიფოს უცაბედი განვრცობის მიზეზებზე იმსჯელოთ, ან2. ელინისა და ბარბაროსის დისკურში მაკედონელისა და ელინიზმის ეპოქა განიხილოთ. ეცადეთ ისტორიული ქეისები მოშველიებული სავარჯიშოების უნარ-ჩვევების განსამტკიცებლად გამოიყენოთ.
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	6 საათი

	შეფასება	ვინაიდან მოდულური სწავლება არ გულისხმობს არამცთუ ცალკეულ გაკვეთილებზე, არამედ, კურსის ბოლოსაც კი განმსაზღვრელი შეფასების ქულობრივ გამოყენებას და ფასდება მხოლოდ ჩაეთვალა-არჩაეთვალას პრინციპით (ცოდნის ფაქტობირივი დადასტურების ბაზაზე), ყოველი გაკვეთილის ბოლოს ბუნებრივია, ყოველი თქვენ არ გჭირდებათ მათი *განმსაზღვრელი* შეფასებით შეფასება. მაგრამ კარგი იქნება თუკი *განმავითარებელ*[7] შეფასებას მოახდენთ, სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებზე იქნებით აქცენტირებული.

დანართი 2.

სცენარი
ემზადებით მატარებლით ხანგძლივი მგზავრობისთვის, რომელიც რამოდენიმე დღეს გასტანს. თქვენს კუპეში, თქვენთან ერთად უნდა იმგზავროს სამმა ადამიანმა. რომელი სამ ადამიანთან ერთად მგზავრობას ისურვებდი (აირჩიე ჩამონათვალიდან)? *რომელ სამ ადამიანთან მგზავრობაზე იტყოდი უარს (აარჩიე ჩამონათვალიდან)*

[7] იხ. მეორე თავის ბოლოს

- *მსუქანი არაბი ბანკირი*
- *უკრაინელი dJ, ნარკომანი*
- *ეგზოტიკური ნივთებით მოვაჭრე აფრიკელი*
- *ციხიდან ახლახანს გამოსული ქურთი*
- *პოლონელი როკმომღერალი, ფემინისტი*
- *ჰომოსექსუალი უცხოელი სტუდენტი*
- *ახალგაზრდა ბოშა ქალი ჩვილით*
- *რუსი ,,სკინჰედი'' ნასვამ მდგომარეობაში*
- *აივ დადებითი მეძავი*
- *ძალიან ღარიბი სირიელი ლტოლვილი*
- *შეიარაღებული უცხოელი სამხედრო პირი*
- *ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხოლოდ თურქულად საუბრობს.*

შემდგომ საგაკვეთილო სქემებში დეტალურად აღარ არის მოცემული გაკვეთილის მსვლელობა და მასში გამოყენებული აქტივობების მიმდევრობა. მიგვაჩნია, რომ პედაგოგი საკმარისი რაოდენობის ნიმუშებს იხილავდა მოცემულ გზამკვლევში, რათა შემოქმედებითად მიუდგეს სასწავლო პროცესს და თავისი შეხედულებისამებრ დაგეგმოს იგი. ქვემოთ ძირითადად გთავაზობთ მოდულის შედეგებთან და კრიტერიუმებთან შესაბამის საგაკვეთილო მიზნებს და სასწავლო მასალაში (რესურსებში) საორიენტაციო რეკომენდაციებს.

გაკვეთლების სერია თემაზე: ქრისტიანული რელიგია და მისი გავლენა

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმები:** 1. გაიაზრებს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობას წარსულსა და თანამედროვეობაში; 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე; 3. აანალიზებს სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობებსა და მათ გავლენას კულტურული ცხოვრების განვითარებაზე; თავისებურებებზე.	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ: ✓ როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა ქრისტიანული რელიგია; ✓ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ მისიონერობას რომის იმპერიასა და მის გარეთ; ✓ რა გავლენა ჰქონდა მსოფლიო საეკლესიო კრებებს ქრისტიანულ სამყაროზე; ✓ როგორი იყო კულტურულ-რელიგიური ურთიერთობები ბიზანტიასა და საქართველოს შორის.
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 106-114, 161-164, 235-237. ან ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 141-157, 262-263, 272-275.
	გაკვეთილების მსვლელობა	გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით საკითხზე: რა იციან სტუდენტებმა ქრისტიანული რელიგიის, ასევე მისი კულტურული გავლენის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად თემა უნდა გაიშალოს თანამედროვე ეპოქაში ქრისტიანობის მნიშვნელობასა და გავლენებზე მსჯელობით, რასაც უნდა მოჰყვეს მის ისტორიული საფუძვლებში ჩაღრმავება. ამ მიზნით გადავდივართ თემასთან დაკავშირებული

<u>შედეგი:</u> 4. მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბების, დროში ცვალებადობისა და ფუნქციონირების კვლევა; **შესრულების კრიტერიუმი:** 4. პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს მმართველობით სტრუქტურების ცვლილებების მიზეზებზე; **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:**		მასალის შესწავლაზე, რისთვისაც შესაძლებელია მე-11 კლასის ისტორიის გრიფირებული სახელმძღვანელოებში მოცემული საავტორო ტექსტების, წერილობითი წყაროებისა და ვიზუალური მასალის დამუშავება (ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 106-114, 161-164, 235-237 ან ისტორია, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 141-157, 262-263, 272-275). აქ მოცემულია ინფორმაცია ქრისტიანული რელიგიის წარმოშობის. განვითარების, სხვადასხვა ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) გავრცელების, მსოფლიო საეკლეისიო კრებების, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. აღნიშნული მასალის დასამუშავებლად პედაგოგს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა სახის აქტივობებს გამოიყენებს (აქტივობები იხ. პირველ თავში „მეთოდიკური ორიენტირები“, ასევე სხვადასხვა თავებში მოცემული „აქტივობათა ბანკები“). მასალის სიდიდის გამო აღნიშნული თემის შესასწავლად რეკომენდებულია სამი ან ოთხი გაკვეთილის დათმობა.
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	3-4 საგაკვეთილო საათი

6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.	**შეფასება**	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, ისტორიული წყაროებისა და ვიზუალური მასალის ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

გაკვეთლების სერია თემაზე: ისლამი და მისი გავლენა

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმები:** 1. გაიაზრებს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობას წარსულსა და თანამედროვეობაში; 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე; 3. აანალიზებს სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობებსა და მათ გავლენას კულტურული ცხოვრების განვითარებაზე; თავისებურებებზე.	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ: ✓ როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა ისლამური რელიგია; ✓ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ისლამს ახლო აღმოსავლეთისთვის და მსოფლიოსთვის; ✓ რა კულტურულ-მსოფლმხედველობრივი გავლენა იქონია ისლამმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებზე (მათ შორის საქართველოზე).
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 166-180. ან ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 236-258.
	გაკვეთილების მსვლელობა	გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით საკითხზე: რა იციან სტუდენტებმა ისლამის რელიგიის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად თემა უნდა გაიშალოს თანამედროვე ეპოქაში ისლამის მნიშვნელობასა და გავლენებზე მსჯელობით, რასაც უნდა მოჰყვეს მის ისტორიული საფუძვლებში ჩაღრმავება. ამ მიზნით გადავდივართ თემასთან დაკავშირებული მასალის შესწავლაზე, რისთვისაც შესაძლებელია მე-11 კლასის

4. არგუმენტირებულად მსჯელობს ქრისტიანული და ისლამური კულტურების ურთიერთმიმართებაზე; 5. აანალიზებს აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენას ქართულ კულტურაზე (წარსული და თანამედროვეობა); **<u>შედეგი:</u>** 4. მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბების, დროში ცვალებადობისა და ფუნქციონირების კვლევა;		ისტორიის გრიფირებული სახელმძღვანელოებში მოცემული საავტორო ტექსტების, წერილობითი წყაროებისა და ვიზუალური მასალის დამუშავება (ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 166-180 ან ისტორია, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 236-258). აქ მოცემულია ინფორმაცია ისლამის წარმოშობის. განვითარების, სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელების, ისლამური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ. აღნიშნული მასალის დასამუშავებლად პედაგოგს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა სახის აქტივობებს გამოიყენებს (აქტივობები იხ. პირველ თავში „მეთოდიკური ორიენტირები“, ასევე სხვადასხვა თავებში მოცემული „აქტივობათა ბანკები“). მასალის სიდიდის გამო აღნიშნული თემის შესასწავლად რეკომენდებულია ხუთი-ექვსი გაკვეთილის დათმობა.
შესრულების კრიტერიუმი:	**გაკვეთილის ხანგრძლივობა**	5-6 საგაკვეთილო საათი

4. პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს მმართველობით სტრუქტურების ცვლილებების მიზეზებზე; **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.	**შეფასება**	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა ანალიზის და სხვა აქტივობების დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

გაკვეთლის თემა: ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა მსოფლიოსა და საქართველოსთვის

სწავლის შედეგები და	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

კრიტერიუმები		
<u>შედეგი:</u> 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმები:** 1. გაიაზრებს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობას წარსულსა და თანამედროვეობაში; 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე; 3. აანალიზებს სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობებსა და მათ გავლენას კულტურული ცხოვრების განვითარებაზე;	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გააანალიზონ: ✓ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის გამომწვევი მიზეზები; ✓ ის კულტურულ-რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ცვლილებები, რაც თან ახლდა ბიზანტიის დაცემას; ✓ ბიზანტიის დაცემის კულტურული და პოლიტიკური შედეგების საქართველოსთვის.
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 247-258. ან ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 231-235, 349-354.
	გაკვეთილების მსვლელობა	რამდენადაც ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებსა და კულტურულ-რელიგიურ ზეგავლენებს სტუდენტები უკვე გაეცნენ, მათ გარკვეული მწარმოდგენა შეექმნებოდათ ბიზანტიის ფენომენზე და აღარ უნდა გაუჭირდეთ ბიზანტიის დაცემის დაანალიზება. აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად

თავისებურებებზე; 4. არგუმენტირებულად მსჯელობს ქრისტიანული და ისლამური კულტურების ურთიერთმიმართებაზე; 5. აანალიზებს აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენას ქართულ კულტურაზე (წარსული და თანამედროვეობა); **<u>შედეგი:</u>** 4. მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბების, დროში ცვალებადობისა და ფუნქციონირების კვლევა; **შესრულების კრიტერიუმი:** 4. პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს მმართველობით სტრუქტურების ცვლილებების მიზეზებზე;		კვლავ ისტორიის გრიფირებულ სახელმძღვანელოებს შეგვიძლია მივმართოთ (ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 247-258. ან ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 231-235, 349-354). აღნიშნული მასალის დასამუშავებლად პედაგოგს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა სახის აქტივობებს გამოიყენებს (აქტივობები იხ. პირველ თავში „მეთოდიკური ორიენტირები“, ასევე სხვადასხვა თავებში მოცემული „აქტივობათა ბანკები“). აღნიშნული თემის შესასწავლად რეკომენდებულია სამი გაკვეთილის დათმობა.
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	3 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

<u>შედეგი:</u> 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

გაკვეთლის თემა: რენესანსი და ჰუმანიზმი

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 1. დემოკრატიული ქვეყ-ნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება; **შესრულების კრიტერიუმები:** 6. წარსულსა და თანამედროვეობაში სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების განხილვის საფუძველზე წარმოაჩენს ამგვარ მოვლენათა შედეგებს დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლის (ან უკუსვლის) კუთხით. **<u>შედეგი:</u>** 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების**	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ: ✓ რენესანსის ეპოქაში მომხდარი ძირეული კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები და მათი გავლენა თანამედროვე ეპოქაზე.
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 241-245. ან ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 356-361.
	გაკვეთილების მსვლელობა	აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად კვლავ ისტორიის გრიფირებულ სახელმძღვანელოებს შეგვიძლია მივმართოთ (ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 241-245. ან ისტორია, მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 356-361). აღნიშნული მასალის დასამუშავებლად პედაგოგს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა სახის აქტივობებს გამოიყენებს (აქტივობები იხ. პირველ თავში „მეთოდიკური ორიენტირები“, ასევე სხვადასხვა თავებში მოცემული „აქტივობათა ბანკები“). აღნიშნული თემის შესასწავლად რეკომენდებულია ორი

კრიტერიუმები: 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე; 3. აანალიზებს სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობებსა და მათ გავლენას კულტურული ცხოვრების განვითარებაზე; თავისებურებებზე; **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა		გაკვეთილის დათმობა.
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	2 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

გაკვეთლის თემა: ვახტანგ VI-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა (შემაჯამებლის ნიმუში შეიძლება აქ გაიშალოს)

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**	
<u>**შედეგი:**</u> 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმი:**	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.

5. წარსულსა და თანამედროვეობაში სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების განხილვის საფუძველზე წარმოაჩენს ამგვარ მოვლენათა შედეგებს დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლის (ან უკუსვლის) კუთხით. **<u>შედეგი:</u>** 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; 7. ანალიზის საფუძველზე მსჯელობს სხვადასხვა ეპოქაში ისტორიის განსხვავებული მნიშვნელობის შესახებ. **შესრულების კრიტერიუმები:** 1. გაიაზრებს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობას		
	გაკვეთილების მსვლელობა	**I გაკვეთილი** გაკვეთილს
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	6 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

წარსულსა და თანამედროვეობაში; 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე; 3. აანალიზებს სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობებსა და მათ გავლენას კულტურული ცხოვრების განვითარებაზე; 4. არგუმენტირებულად მსჯელობს ქრისტიანული და ისლამური კულტურების ურთიერთმიმართებაზე; 5. აანალიზებს აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენას ქართულ კულტურაზე (წარსული და თანამედროვეობა); 6. ისტორიული ეპოქის ფასეულობების გათვალისწინებით არგუმენტირებულად მსჯელობს		

საზოგადოებრივი აზრის განვითარების ძირითად ეტაპებზე და მათ თავისებურებებზე. **<u>შედეგი:</u>** 4. მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბების, დროში ცვალებადობისა და ფუნქციონირების კვლევა; **შესრულების კრიტერიუმი:** 4. პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს მმართველობით სტრუქტურების ცვლილებების მიზეზებზე; **<u>შედეგი:</u>** 5. სოციალური სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების კვლევა; **შესრულების კრიტერიუმი:**		

2. იკვლევს სხვადასხვა ეპოქის სოციალურ სტრუქტურებს ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან სხვა ტიპის ისტორიულ წყაროებზე გამოყენებით; **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**	
<u>**შედეგი:**</u> 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმი:** 5. მსჯელობს სოციალურ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე; <u>**შედეგი:**</u> 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმი:** 2. წარსული და	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ: მოქალაქეობა
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.
	გაკვეთილების მსვლელობა	**I გაკვეთილი** გაკვეთილს
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	5 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე. **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

გაკვეთლების სერია თემაზე: თერგდალეულები და ახალი იდეები

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმი:** 5. მსჯელობს სოციალურ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე; **<u>შედეგი:</u>** 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმი:** 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ: მოქალაქეობა
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.
	გაკვეთილების მსვლელობა	**I გაკვეთილი** გაკვეთილს
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	2 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

გავლენებზე. **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

გაკვეთლების სერია თემაზე: ახალი პოლიტიკური იდეები და საქართველო (XIX-XX საუკუნეების მიჯნა)

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმი:** 5. მსჯელობს სოციალურ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე; **<u>შედეგი:</u>** 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; **შესრულების კრიტერიუმი:** 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ: მოქალაქეობა
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.
	გაკვეთილების მსვლელობა	**I გაკვეთილი** გაკვეთილს
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	3 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

გავლენებზე. **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

გაკვეთილეს თემა: სოციალისტური რეალიზმი და საქართველო

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	**გაკვეთილის პირობები და მსვლელობა**

<u>შედეგი:</u> 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში მოქალაქის როლის გაცნობიერება. **შესრულების კრიტერიუმი:** 5. მსჯელობს სოციალურ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე; **<u>შედეგი:</u>** 3. საზოგადოებრივ პროცესებში კულტურისა და რელიგიის ზეგავლენის გაანალიზება; 7. ანალიზის საფუძველზე მსჯელობს სხვადასხვა ეპოქაში ისტორიის განსხვავებული მნიშვნელობის შესახებ. **შესრულების**	**მიზანი/ მიზნები**	სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ: მოქალაქეობა
	რესურსები	ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.
	გაკვეთილების მსვლელობა	**I გაკვეთილი** გაკვეთილს
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	2 საგაკვეთილო საათი
	შეფასება	გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.

კრიტერიუმი: 2. წარსული და თანამედროვე მაგალითებით მსჯელობს კულტურათშორის გავლენებზე. **<u>შედეგი:</u>** 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. **შესრულების კრიტერიუმი:** 6. აფასებს ისტორიულ მოვლენას არა მხოლოდ თავისი, არამედ იმ ეპოქის ღირებულებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა.		

****

თემატური ბლოკის შეჯამება და სტუდენტების შეფასება

პედაგოგებს ვთავაზობთ მეოთხე თემატური ბლოკის – „კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები“ – შემაჯამებელი აქტივობების ნიმუშებს თავისი შეფასების რუბრიკებით.

პედაგოგი თემის - „კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები“- სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტებს სთავაზობს, აირჩიონ ქვემოთ მოცემული შემაჯამებელი დავალებებიდან ერთ-ერთი, რომელიც თემატური ბლოკის დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინონ.

დავალების არჩევის შემდეგ სტუდენტმა უნდა შეასრულოს პროექტული ხასიათის დავალებათაგან ერთ-ერთი:

- ✓ კვლევითი ხასიათის თხზულება
- ✓ Power Point-ში ან Prezi-ში მომზადებული პრეზენტაცია
- ✓ შემოქმედებითი თხზულება (,,სარეკომენდაციო წერილი პოლიტიკურ მოღვაწეს'')
- ✓ დისკუსია/დებატი
- ✓ ბუკლეტი, ფლაერი, კედლის გაზეთი და სხვ.
- ✓ როლური თამაში

რასაკვირველია, ნებისმიერ შემაჯამებელ დავალებას სჭირდება შეფასების რუბრიკა, რომელიც სტუდენტმა წინასწარ უნდა იცოდეს, რათა ნამუშევრის შესრულებისას სწორი ორიენტირი ჰქონდეს. გთავაზობთ შეფასების რუბრიკების ნიმუშებს თითოეული შემაჯამებელი დავალებისათვის. რა თქმა უნდა, პედაგოგს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს, მოაკლოს ან დაამატოს რებრიკაში მოცემული შეფასების კრიტერიუმები.

1. **დაწერეთ თემა: ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეების დანერგვა საქართველოში ნიკო ნიკოლაძის მერობის მაგალითზე**

ა) ჩამოაყალიბეთ კვლევის ძირითადი იდეა, თეზისი;

ბ) დაიცავით ნაშრომის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) და თემას დაურთეთ გამოყენებულ ლიტერატურის ნუსხა;

გ) სათანადო ფაქტობრივი მასალა დაამუშავეთ იმგვარად, რომ საშუალება მოგეცეთ, იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

- *რამ განაპირობა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიის, საქართველოს სივრცეში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელება და პოპულარობა?*

- *რამდენად აქტუალური ჩანდა რეფორმების გატარების აუცილებლობა სოციალური კუთხით?*

- *რა ტიპის წინააღმდეგობები არსებობდა საქართველოში რამაც დემოკრატიული ბანაკის ერთსულოვნება ვერ განაპირობა?*

- *რამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნიკო ნიკოლაძის და მისი თანამოაზრეების იდეები და ქმედებები იკვებებოდა მათი თანამედროვე ევროპული სოციალურ-დემოკრატიული იდეებიდან?*

- *რატომ აღმოჩნდა ნიკო ნიკოლაძის პრაქტიკული საქმიანობა მერის თანამდებობაზე იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი რჩება ქ. ფოთის ყველაზე პოპულარულ მერად დღემდე?*

დ) მსჯელობისას განიხილეთ განსხავებული პოზიციები, შეაჯერეთ ისინი, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და დაასაბუთეთ იგი;

ე) რეფერატის სრულყოფილად დასამუშავებლად: გაეცანით და დაამუშავეთ საკითხის შესახებ არსებული პირველადი და მეორადი წყაროები.

თხზულების/რეფერატის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
მიზანი/თეზისი – კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება	
თხზულების ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი	
შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	
ენობრივი გამართულობა	
კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)	
შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	
დასკვნები	

2. მოამზადეთ პრეზენტაცია სოციალური რეალიზმის (როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოს კულტურის ფენომენის) შესახებ.

ამ დავალების შესასრულებლად ინტერნეტიდან ამოკრიფეთ ორივე სქესის წარმომადგენლის, კოლმეურნის, მეცნიერის, მუშის, გლეხის და სხვა სოციალური კატეგორიის ადამიანების ფოტოები, მაგ. რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან საქართველოდან, ჩინეთიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან. პერიოდად შეარჩიეთ 50-70-იანი წლები. ფოტოების შესაბამისი ტექსტის აგებისას გაითვალიწინეთ შემდეგი ფაქტორები:

- რა მსგავსება და განსხვავება (თუკი არის) შეინიშნება ამ ტიპის ფოტოებში, ჰგავს თუ არა ერთმანეთს ის მესიჯი რაც მათ მიაქვთ მაყურებლამდე, არის თუ არა ის იდენტური?
- რატომ უნდა ყოფილიყო სოციალისტური რეალიზმით გამოხატული პიროვნება მომხიბვლელი ზოგადად სოციალისტური ქვეყნებისათვის?
- რა იდეოლოგიური დატვირთვა აქვს კულტურას და რამდენად ხდება იგი გავლენებისა და პოლიტიკური კონიუნქტურის მსხვერპლი?

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
ნამუშევარი შეესაბამება სათაურს და შესაჯამებელ თემას	
პრეზენრაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია სანდოა	
სლაიდ-შოუ ეფექტურია და იპყრობს მსმენელის ყურადღებას	
პრეზენტაციაში ვლინდება მოსწავლის შემოქმედებითობა	
სლაიდები მიზნობრივადაა შერჩეული	
პრეზენტაციიდან ჩანს, თუ რა წყაროებს ეყრდნობა ავტორი	
პრეზენტაცია ხელს უწყობს მსმენელს, ადეკვატურად აღიქვას მოხსენების შინაარსი	

1.წერილი პოლიტიკურ მოღვაწეს:

მაგალითად, ,,მიაწერინეთ'' წერილი ეგრისში მყოფ სპარსელ დიდებულს ხოსრო პირველი ანუშირვანისადმი, სადაც ის პრევენციის კუთხით და ეგრისში მიღწეული გამარჯვების შენარჩუნების მიზნით მეფეს მისცემს რჩევებს, რომ არ უნდა მოახდინოს ძალით მაზდეანობისთავს თავს მოხვევა ეგრისელებისთვის, არ უნდა სთხოვოს მათ სპარსელთა მიმაღთ კეთილგანწყობის გამოხატვის გამო ყოფით ცხოვრებაში იმგვარად მოიქცნენ, როგორც სპარსელები. არ უნდა აუკრძალოს ბერძნულად საუბარი ბიზანტიელებთან, რომლებიც არიან ეგრისში, არ უნდა გამოხატონ გაღიზიანება, რომ ეგრისელებს სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ბიზანტიასთან და ა.შ. აქ ჩამონათვალის გაგრძელება შეიძლება და შეგიძლიათ საკუთარი ფანტაზიის შესაბამისად შეავსოთ. მთავარია, უბიძგოთ სტუდენტს იმ კუთხით იფიქროს, აქვს თუ არა მსგავსება კულტურულ სიახლოვეს, რა განაპირობებს მსოფლმეხველობრივ შეხედულებების როგორც ჩამოყალიბებას, ასევე ცვლილებებს.

წერილის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
შეესაბამება შესაჯამებელ თემატიკას	
ჯდება ისტორიულ კონტექსტში	
დასაბუთებულია შეთავაზებული წინადადებების საჭიროება და სარგებლიანობა	
დაცულია წერილის ტექსტობრივი სტილი	
ავლენს სტუდენტის შემოქმედებით მიდგომას	

2. დებატები

შეგიძლიათ სტუდენტებს დაავალოთ იდებატონ თემაზე : ***განმანათლებლობას რომ არ შეემზადებინა საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთში, არც რევოლუციების ტალღა იქნებოდა ევროპაში, არც დეკაბრისტების იდეები იარსებებდა რუსეთში და ვერც თერგდალეულებისა- საქართველოში.***

დებატების შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
არგუმენტი არის ფაქტით განმტკიცებული/ დასაბუთებული	
მოწინააღმდეგეს უპირისპირებს კონტრარგუმენტს	
არგუმენტის წარდგენისას დამაჯერებელია	
იყენებს ეფექტურ და ადეკვატურ ჟესტიკულაციას	
ემორჩილება მოდერატორის მითითებებს	
იცავს დროის ლიმიტს	
მოსწავლე ავლენს კრეატიულობას არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოხმობისას	

3. ბუკლეტი/ფლაერი/კედლის გაზეთი

შეიძლება სტუდენტებს შესთავაზოთ კულტურათაშორისი დიალოგის, კულტურული გავლენების გასაგებად შესთავაზოთ თემა: ,,თბილისური მოზაიკა'' რასაც შეასრულებენ საინფორმაციო ტიპის პროექტის (კედლის გაზეთის, ბუკლეტის, ფლაერის, სახით, რომელშიც ასახული იქნება თბილისი ძველი უბნების ფოტოების დართვით (ირანული ათეშგა, ქართული მართლმადიდებლური ტაძარი, კათოლუკური ტაძარი, სინაგოგა, მეჩეთი, გერმანული კირხე....ასევე მე-19-20 საუკუნეების ყოფის ამსახველი ფოტოები) კულტურული ,,დიალოგი'' რომელიც გამოიხატა შემდეგი მიმართულებით: 1. ღირებულებითი (რელიგია, მსოფლმხედველობა., ტრადიციის შენარჩუნება ან გადახედვა...) 2. ყოფითი (თბილისი ძველი უბნების დასახელებაში ასახული ყოფა, ჩაცმულობა, თმის და წვერის ტარების ფენომენი....) 3. ენობრივი (არაბული, ირანული, რუსული და თანამედროვეობაში ინგლისური ბარბარიზმები). კულტურული გავლენებისა და შეხედულებებიოს/ ღირებულებების გადახედვის გავლენების გამომწვევი კონკრეტული მიზეზები, მულტიკულტურული ფენომენი თანმედროვე მსოფლიო კონტექსტში - საქართველოს დედაქალაქი : კულტურული პერიფერია თუ თანამედროვე ტრენდების ფეხდაფეხ მავალი ურბანული სივრცე?

ბუკლეტის/ფლაერის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი	
დავალება შინაარსობრივად კორექტულია/დავალებაში მოყვანილი ინფორმაცია სანდოა	
ტექსტები ენობრივად გამართულია	
შეესაბამება შესაჯამებელ თემას	
გაფორმებულია თემატიკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სურათები, ფოტოები, სქემები...)	

ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს	
არ აღვევს საავტორო უფლებებს/თან ახლავს სამეცნიერო აპარატი	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია	

4. **როლური თამაში**

როლური თამაშისათვის წინასწარი მომზადებაა საჭირო: უნდა განაწილდეს როლები, მოსაფიქრებელი იქნება მოკლე სცენარი, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ წარმოსათქმელი სიტყვები, შესაძლოა ფიზიკური გარემოს (აუდიტორიის/საკლასო ოთახი) და სამოსის ეპოქის სულისკვეთებით გაწყობაც.
შეგვიძლია სტუდენტებს შევთავაზოთ **ვახტანგ მეექვსის სწავლულ კაცთა კომისიის შეკრება** გაითამაშონ (შეძლებისდაგვარად კოსტიუმირებულად) და დასვან იმსჯელონ იმ საკითხებზე რაზეც მათი აზრით ,,სწავლულ კაცთა'' მოკისია მსჯელობდა. მაგალითად:

- რატომ შევურჩიოთ უფლისწულებს, მათ შორის არაკანონიერსაც (მაგ ვახუშტი ბატონიშვილს) ევროპელი აღმზრდელები ქართველებთან ერთად;
- რატომ იქნება უპრიანი სულხან-საბა ორნბელიანი წავიდეს ევროპაში?
- რატომ უნდა ვთარგმნოთ ევროპული წიგნები და შევქმნათ ახალი ტიპის სახელმძღვანელოები?
- რატომ უნდა ეცადოს ვახტანგ მეექვსე მიუხედავად ფორმალური მაჰმადიანობისა და ირანთან თითქოს მშვიდი და უსაფრთხო უერთიერთობის რეჟიმში, სხვა მოკავშირეთა ძებნას ?
- რატომ მოხდა რომ ვახტანგის ოჯახის წევრები, მისი ძმა მაგალითად პროირანული ორინეტაციისაა, მაშინ როცა ვახტანგი სხვა აზრზე დგას?
- რატომ თვლის სწავლულ კაცთა კომისიის წევრი რომ განათლება გარკვეული ფანჯარაა პროგრესის მიმართულებით?
- რატომ არ ხედავს სწავლულ კაცთა კომისიის ესა თუ ის წევრი საკუთარი ქვეყნის განვითარების პერსპექტივას ირანთან კავშირში?

როლური თამაშის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
შეესაბამება შესაჯამებელ თემას	
პროცესი ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ სცენარს	
აქტივობის მსვლელობა წარმოადგენს მეფის მრჩევლების და უახლოესი წრის შეკრების იმიტაციას	
,,შეკრების'' მონაწილეებს შორის წინასწარ არის განაწილებული როლები	
მონაწილეთა არგუმენტები და მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებენ	
არგუმენტებად იყენებენ რეალურ ფაქტებსა და წყაროებს	
მონაწილეები თავის როლს პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად უდგებიან	